

ხალგაზრდა პერიოდი

14
მაისი
სამშაბათი
1991
№ 55
(11688)

ქართული
1921 წლის

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კპ.

14 (1) მაისი თამარობა

ქართველთა მეფის, თამარის ხსენების დღე

ეპოქა, როცა ცხოვრობდა და ზეობდა თამარი, განუმეორებელია საქართველოს ისტორიაში. ეს იყო დრო, როცა ჰყვავდა საქართველო. გადაჭიმული ნიკოფსიდან დარუბანამდე; როცა ქართველ ხალხს ჰქონდა რწმენა უფლისა და უფალიც სწავლობდა ხალხს; როცა ქვეყანას მართავდნენ მეფენი — „გლახაკნი სულითა, მგლოვარენი გულითა, მოწყალენი, სამართლიანნი. მშვიდობის მყოფენი“... ასეთი იყო დიდი დავით აღმაშენებელი, ასეთი იყო დემეტრე მეფე, ასეთი იყო თამარიც. „მზე იგი მზეთა და ნათელი ნათელთა, ელეგებდა და მზეებზე მაშუქებელი სხვათა“ („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“).

18 წლისა იყო თამარი, როცა საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა. თამარის ტახტზე ასვლისთანავე, დიდებულთა ერთმა ნაწილმა, მეჭურჭლეთუხუცესის, ყუთლუ-არსლანის წინამძღოლობით, განიზრახა, ესარგებლა მეფის მცირეწლოვნობით და სასახლის გვერდით ცალკე „ქარვის“ დაარსება მოითხოვა. ყოველი სახელმწიფო-საქონლმდებლო საკითხი „ქარავში“ უნდა განეხილათ და მიეღოთ, მეფეს კი მხოლოდ ხელი უნდა მოეწერა. მაშასადამე, განდგომილთა მიზანი იყო, ხელში ჩაეგდოთ სამეფოს მართვა-გამგეობა და ახალგაზრდა მეფე-ქალი თავისი ნების აღმსრულებლად ექციათ. საქმე იარაღმდე მივიდა. საქართველო თითქმის ორ ბანაკად გაიყო: მეფის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. მაგრამ თამარი არ დააბნია ამ ამბოხმა. მან გონიერულად აიცილია თავიდან სამოქალაქო ომი, განდგომილები შემოიშრია და ერთგულების ფიციც მიიღებინა. ეს იყო თამარის პირველი დიდი პოლიტიკური ნაბიჯი. აქედან დაიწყო კარის, კარნიფორისა და ბასიანის თურქთა ბანაკების დალაშქვრა, ირანის გადავლით პართიის ქალაქების აღება, განძისა და ღვინის დაბრუნება, შამქორი, ბასიანი და ღვთის შეწყენით, სხვა მრავალი დიდება და გამარჯვება.

ყოველი ლაშქრობის წინ, თამარი მუსლიმდრეკილი, მხურვალე



ლოცვით ევედრებოდა უფალს, ეხსნა საქართველო; ფეხშიშველი, ცრემლითა და გალობით წინ მიუძღოდა ლაშქარს... ხოლო ლაშქარის დაბრუნებისა და გამარჯვების შემდეგ კვლავ მხურვალე ლოცვას აღავლენდა, აწ უკვე სამადლობელსა და უფლის სადიდებელს. ღვთის შეწყენა თან სდევდა მეფესა და ქვეყანას, რადგან შეიყვარა თამარმა „ღმერთი იგი და უცხო ექმნა საცთურთა სოფლისათა“. რადგან იყო

თამარი ჰუმანიტარული პრინციპები და ღვთის ნების აღმასრულებელი: მმართველი, მლოცველი, სამართლიანი, მოწყალე, თავდადებული... „ესეოდენთა დიდებათა და სიმდიდრეთა გარდაერულთა და სიმდიდრეთა შინა ესრეთ იყო, ვითარმცა ყოვლად არარაი ჰქონებოდა, და უღარეს და უგლახეს ყოველთა კაცთა შერაცხა თავი თავისი“ („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“).

მოწყალეობას უხვად გაცემდა. ასეთი წესი ჰქონდა მეფეს: ღამით ქსოვდა, კერავდა, ქარავდა, შემდეგ ჰყიდდა ნაშუშეგარს და ალბელ ფულს გლახაკებს ურიგებდა.

წირვა ლოცვას არ აკლდებოდა, ღამებს ლოცვა ვედრებაში ათენებდა, ეკლესია-მონასტრებს აღაშენებდა... თამარმა დაასრულა გიორგი III-ის მიერ წამოწყებული ვარძიის მშენებლობა, ააშენა მონასტრები იერუსალიმში, კონსტანტინეპოლში, „საბერძნეთს“ და ყოველსა ეკლესიასა მონასტრსა უხვად წყალობამიფენილ ყვნა და საქართველოსა მცირითგან მონასტრით საყდარ-საყდარ-ეკლესიანი არა დაუტევა, რომელ არა წყალობითა აღავსო“ („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“).

ქრისტესმცირი რწმენით ზეობდა თამარი, აღიღებდა უფლსა და თავდაც იდიდებოდა მისგან. „ესრეთ ყოველსა შინა დაცვითა ღმრთისა მცნებათათა მოიგო წყალობა ღმრთისა. და აკურთხა ღმერთმან ცხოვრება მისი და განამრავლა ნაყოფი მისი“ (ბასილი ეზოსმოდგარი).

ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა თამარი და წელიწადში ორ დღეს დააწესა მისი ხსენება. ერთი დღე უძრავია 14 (1) მაისი, ხოლო მეორე მოძრავი — მენელსაცხებლე დედათა კვირა (აღდგომის მეორე კვირა). ამით ჩვენმა ეკლესიამ ხაზი გაუსვა თამარის მაღალმოსილებას. მივბაძოთ თამარს, ვირწმუნოთ ღმერთს, გავხედოთ ჰუმანიტარული პრინციპების, აღვასრულოთ უფლის მცნებანი და უფალი შეგვეწყვეა ჩვენი!

ზაია გოგილაშვილი

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების ნობ

ამა წლის 26 მაისსათვის დაიწყო საყოველთაო არჩევნებში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის მეექვსე და უკანასკნელი კანდიდატი გახდა ჟურნალ „ბალაღერის“ მთავარი რედაქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი **თამაზ კვაჭანტირაძე**. გასულ შაბათს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ იგი პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა მას შემდეგ, რაც მისი კანდიდატურის დამსახურებელმა საქართველოს თავისუფალ დემოკრატთა კავშირმა წარმოადგინა პრეზიდენტობის მხარდამჭერი ამომრჩეველთა ხელმოწერების დაკლებული რაოდენობა.

ამრიგად, განისაზღვრა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის ყველა პრეტენდენტი. შეგახსენებთ, რომ მათ სიას შეთაურობს კომისიის მიერ პირველად რეგისტრირებული საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია** — „მრგვალი მაგიდის“ სპიკერი, საქართველოს პელსინკის კავშირის თავმჯდომარე და სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარე, რომელიც დასახელეს ბლოკში „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ შემაჯალმა პოლიტიკურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა.

პრეზიდენტობის კანდიდატთა შორის არიან აგრეთვე **ირაკლი შენგელაია**, ინტელექტუალური ასოციაცია „თავისუფალი აზრის“ პრეზიდენტი — ორგანიზაცია „დემოკრატიული არჩევანი საქართველოსათვის“ (დასისაგან), საქართველოს ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიისაგან, საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისაგან, რომლებიც პოლიტიკურ ბლოკში — „თავისუფლება“ შედიან; **ჩიმი მიქელაძე**, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი — ამ პარტიისაგან; **ვალერიან ადგაძე**, საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის გამგეობის თავმჯდომარე — ამ კავშირისაგან; **ნოდარ ნათაძე**, საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარე — ამ ფრონტისაგან, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკური პარტიის, ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

საქინფორმი

აჭარის უზენაესი საბჭოს სესია

გამართა აჭარის უზენაესი საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებების შეტანის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების საკითხი და სხვ. მიღებულია შესაბამისი დადგენილებები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნები დაიწყო 1991 წლის 23 ივნისისათვის.

სესიის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საქართველოში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დღეუპოვანად სსრკ-ის სესიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

საქინფორმი

...მართალია, არ გვემღერება, მაგრამ

ამა წლის, 10 მაისს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში შედგა „თამარობისადმი“ მიძღვნილი საქველმოქმედო კონცერტი, რომლის ორგანიზატორები იყვნენ — ქალბატონები მარიანე სვანიძე — ექვსი შვილის დედა, ლილია ჩხეიძე და ირმა მინდორაშვილი. საღამომი მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მოღვაწეები, მსახიობები, პოეტები, მომღერლები.

სიმღერები შეასრულეს: თამარ გვერდსიფთაძე, რუსულიდან მუშლაძემ, ქალთა ვოკალურმა ანსამბლმა, ფილარმონიის სოლისტმა ინგა ბერაძემ თავის შვილთან გიგა გეგელაშვილთან ერთად, ირმა სოხაძემ, ავთო შარვაშიძე და თამაზ ჭანჭილაძე, დიდი მოწონება დაიმსახურა ოთარ რამიშვილის ახალმა სიმღერებმა.

მეორე დღე აღფრთოვანებით შეხვდა ქარაღას ასრულებს გამოსვლას, რომელიც ჯერ მოჰყვა მეფეთა-ქედის თამარის ქება-დიდებას. თ. ბოლო: მისთვის ჩვეული იუმორით დარბაზი აახმაურა.

კონცერტში მონაწილეობდნენ ქორეოგრაფიული ანსამბლები. საზალხო არტისტის ომარ კელაბაძის მიერ „ჯადოსნურმა“ საღამომმა დაატყობა მაყურებელი, მისი

გამოსვლის შემდეგ მაყურებელთა წინაშე წასრუდნენ ნორჩი მესალაშურები.

მსახიობმა ზურაბ ქაფიანიძემ თავის ომბიანი ზმით ლექსები მიუძღვნა თამარ მეფეს. პოეტმა მთვარისა კერესელიძემ საკუთარი ლექსი წაიკითხა.

მართალია, დღეს ამ მხელბედობის ეამს საქართველოს არ ემღერება, მაგრამ ქართველი კაცი ოდითგანვე გაჭირვებას სიმღერით ხვდებოდა და დღესაც არ ღალატობს ამ ტრადიციას, დაე, იცოდეს მტერმა, რომ საქართველოს დამონება-დამორჩილება აუცილებელია.

სათუნა გავაშვილი,
თბილისის მე-2 ექსპერიმენტალური საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე.

საქველმოქმედო კონცერტზე შემოსული თანხა გადირიცხა მიწისძვრის დაზარალებულთა დაზარალების ფონდში.

გთხოვთ, პონორარი გადარიცხოთ მიწისძვრით დაზარალებულთა დაზარალების ფონდში.

შეხვედრები მთიან აჭარაში

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ასლან აბაშიძე ეწვევნენ ზუგდიდს, შუაფენისა და ქედის რაიონებს. მოსახლეობასთან შეხვედრების დროს განიხილეს მთიანი რაიონების პრობლემები, ეკონომიკის განვითარების საკითხები, შეეხვნენ შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიტუაციას და მასზე დადებითი ზეგავლენის მოზღვრის ღონისძიებებს, აღინიშნა, რომ ახლა განსაკუთრებით საჭიროა სიმშვიდე და ურთიერთგაგება.

შეხვედრების მონაწილეებს ერთი აზრი ჰქონდათ იმაში, რომ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებმა უნდა ჩაიაროს ორგანიზებული, რის შემდეგაც ასევე ორგანიზებულად უნდა მომზადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მომავალი არჩევნები.

ბატონებმა ა. ასათიანმა და ა. აბაშიძემ უპასუხეს შეხვედრების მონაწილეთა მრავალ კითხვას.

საქინფორმი

შედა გაპოპიზაციონ!

და საჩხუპო გაპოპიზაციონი სსრკ სადაზღვევო სისტემის მთავარი პრინციპი

დღეს ქართველების ეროვნული ხსენის საკითხი იმდენად მწვავედ დგას, რომ პრობლემა თვით ძველი მინიმალური სასიცოცხლო პირობების შექმნა, რითაც თავიდან ავიშორებთ შიმშილს, სათბობს-ენერგეტიკულს, სატრანსპორტო სისტემის პარალიზაციას. ამას ემატება სტიქიური უბედურებისა და სამხრეთის პოლიტიკური კრიზისის შედეგად ათასობით უსახლკარო აღმართის თავშესაფართ უზრუნველყოფის პრობლემა.

ეს უკანასკნელი პრობლემა უპირველესად გადასატყველო, რამეთუ საქმე უნდა ფაქტობრივად შორის გაქრეხვებულს. ამიტომ უნდა გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა, მათ შორის ისიც, რასაც პოლიტიკურად დე-იურე დამოუკიდებელი საქართველოს ფაქტობრივად საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ სისტემაში ყოფნა იძლევა. პოლიტიკაში კომპრომისისაკარგო გზები არ არსებობს, თუმცა ამჯერად კომპრომისთან არა გვაქვს საქმე, ქართველები უბედურულ მდგომარეობაში ვარდებიან ხოლმე, როდესაც ფულზე და ანგარიშზე ლაპარაკი, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ის, თუ როგორ ფუნქციონირებს საბჭოთა ეკონომიკური სისტემა სხვადასხვა სიტუაციაში, როგორია მისი ცალკეული ელემენტებისათვის ვალდებულებებისა და მოვალეობების შესრულების მოთხოვნის ზომი, არა მხოლოდ დელეგატური, არამედ პრაქტიკული საკითხიცაა.

საქმე ისაა, რომ საქართველო ჩართულია საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ სადაზღვევო სისტემაში. ეს სისტემა საბჭოთა კავშირში სახელმწიფოს ხელშია მონოპოლიზებული და, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის 131-ე მუხლის შესაბამისად, ცენტრის კომპეტენციაში შედის.

სახელმწიფო დაზღვევა მოიცავს, როგორც აუცილებელ, ისე ნებაყოფლობით ქვესისტემებს. დაზღვევის ობიექტების მიხედვით ის ქონებრივი და პირვნულია.

ნებაყოფლობითი დაზღვევის შემთხვევაში აუცილებელია დოკუმენტური (მოწმობა, სადაზღვევო ქვითარი), რომლითაც მეორე მხარეს ვალდებულების შესრულება მოეთხოვება. არადა ასეთი დოკუმენტები არცთუ იშვიათად დაცარებულია. — ხომ ყველამ ვიცით, რომ სოფლებში ჩვენი დამალი იურიდიული კულტურის გამო, საცხოვრებელი სახლების დაზღვევა ავტომატურად ხდებოდა ისე, რომ ზოგჯერ სოფლის საბჭოს კანტონარში ფულს რისთვის უქვითავდნენ ისიც არ იცოდა კაცმა. ამდე-

ნად მისასაღებელია, რომ სწორედ ეს პრობლემა მოუხსნა დაზარალებულებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას 1991 წლის 6 მაისის ბრძანებულებამ მიწისძვრით დაზარალებულთა მატერიალური დახმარების შესახებ.

რაც შეეხება საავადმყოფო, აუცილებელ დაზღვევას, აქ საქმით არაფერია. მათი სახეები ნორმატიული აქტებითაა განსაზღვრული.

რადგან, საუბედროოდ, სადაზღვევოდ გავიხილა საქმე, ხაზგასმულია, რომ ყველა საავადმყოფო დაზღვევის ობიექტების წარგვის ანაზღაურება მთლიანად სსრკ სახელმწიფო ბიუჯეტის საჩუქრად ფონდიდან უნდა მოხდეს. საქმე ეხება კოლმეურნეობებს, სახელმწიფო, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, სამეურნეობათა შორის ორგანიზაციებს, მათ მოსავლს, შენობებს, სატრანსპორტო საშუალებებს და სხვა. სადაზღვევო თანხა კანონითაა განსაზღვრული, მაგრამ საქმე ისაა, რამდენად სწორად იქნება აღრიცხული საავადმყოფო დაზღვევის ბატარეული იურიდიული პირები, ორგანიზაციები, კოლმეურნეობები და სხვა. დაზღვევის სამსახურებმა და მიმართებით დიდი დახმარება შეიძლება აღმოჩინონ დაზარალებულებს. მათ არ უნდა დაუშვან ფინანსური მარადილობა. არც კუთვნილი თანხა უნდა წარუდგინონ მოსახლეობას როგორც მოწყალე. დაზარალებულებმა მაღლობა მხოლოდ სახელმწიფო დაზღვევის ზემოთ მიღებულ დახმარებაზე უნდა დაყრდნობიან.

უნდა გამოვიყენოთ ის გარემოება, რომ მთლიანად საბჭოთა კავშირის სადაზღვევო სისტემა უპირველესად ბუნებრივი სტიქიური უბედურებისაგან მიყენებული ზარალის ანაზღაურების პრინციპს ემყარება.

მთელი ზარალი დაქამებული უნდა წარუდგეს საბჭოთა კავშირის მთავრობას, რომელმაც ჩვენი მრავალწლიანი შრომით შექმნილ სადაზღვევო ფონდიდან უნდა გაიღოს სახსრები მის ასანაზღაურებლად.

ჩვენი გაქირავების შესაძლებლობადაც ყველა შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ და ძმობისმადეცაროთა გაქირავებაში თანადგომის პრინციპების შესაძლებლობადაც.

მინილ ჯიბაძე,
პროფესორი.

გთხოვთ, მონარაჩი გადარიცხოთ მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბორის ელცინმა დაიწყო ორდინარი მოგზაურობა ჩეხოსლოვაკიაში. როგორც ვარაუდობენ, აქ იგი ხელს მოაწერს ერთობლივ განცხადებას მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ რუსეთის ფედერაციასა და ჩეხოსლოვაკიის შორის. გასულ თვეში სტრასბურგში ყოფნისას ბ. ელცინმა თქვა, რომ მის მთავრობას სურს ამგვარი დოკუმენტების ხელმოწერა რუსეთის მეზობელ ქვეყნებთან ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. ვარაუდობენ, რომ ბ. ელცინი სიტყვით გამოვიდოდა ჩეხოსლოვაკიის ფედერალური კრების (პარლამენტის) ერთობლივ სესიონზე, მაგრამ დეპუტატებმა გადაწყვიტეს, რომ ასეთი პატივი ექვთვნით მხოლოდ სახელმწიფოთა მეთაურებს, ამიტომ ბ. ელცინი სიტყვით გამოვა დეპუტატთა დახურულ კრებაზე. ის შეზღუდვა ასევე ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტს ვაცლავ ჰაველს.

ლიტვისა და ლატვიის ლიდერებმა ე. ლანდსბერგისმა და ი. გოდმანისმა, რომლებიც კვლავ შეერთებულ შტატებში იმყოფებიან, ამერიკის ტელევიზიით გამოსვლისას შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ შესაძლოა მოსკოვმა კვლავ გაიზარდოს შტეტვა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებზე, რათა ჩაახშოს მათი მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ. ტელეკომპანია ეი-ბი-სათვის მიცემულ ინტერვიუში ე. ლანდსბერგისმა თქვა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა ამზადებს ახალ დარტყმას, შესაძლოა უფრო ძლიერს, ვიდრე იანვარში და მოუწოდა მ. გორბაჩოვს, დაიწყოს სერიოზული

მოლაპარაკება ბალტიის რესპუბლიკებთან. იმავე ინტერვიუში ლატვიის პრეზიდენტი ი. გოდმანისმა თქვა, რომ შესაძლოა საბჭოთა მთავრობამ ბალტიისპირეთს ეკონომიკური ბლოკადა მოუწყოს, რაც კიდევ უფრო გაამწვავებს ვითარებას და გამოიწვევს ბალტიის ქვეყნების იზოლაციას როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთისაგან.

შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას ბალტიის ქვეყნების ლიდერები ვაშინგტონში შეხვედნენ პრეზიდენტ ჯ. ბუშს და შეეცადნენ მოეპოვებინათ მისი მხარდაჭერა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. როგორც ამერიკელი პრესა აღნიშნავს, პრეზიდენტს არ დაუფარავს, რომ არ აპირებს ჩაერიოს, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე, მოსკოვსა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს შორის მოლაპარაკების პროცესში.

პოლონეთის პრეზიდენტ ლეხ ვალენსას პოლიტიკურმა მეთაურებმა ვარშავაში შექმნილი ოპოზიციური პოლიტიკური პარტია ყოფილი პრემიერ-მინისტრმა თადეუშ მაროვეცკიმ, რომელიც დამარცხდა შარშანდელ საპრეზიდენტო არჩევნებში, ჩამოაყალიბა ცენტრალური პარტია. მის შემადგენლობაში შევიდნენ „დემოკრატიული კავშირი“, რომელსაც თვითონ თ. მაროვეცკი მეთაურობდა და პროფგაერთიანება „სოლიდა-

რობასთან“ დაკავშირებული ორი სხვა დაჯგუფება.

პოლონური წარმოშობის კანადელი ბიზნესმენი სტანისლავ ტიმინსკი, რომელიც, როგორც ვახსოვთ, საპრეზიდენტო არჩევნებში მოულოდნელად მეორე ადგილზე გავიდა, სათავეში ჩაუდგა ახალ პარტიას, რომლის დამფუძნებელი ყირილობა რატომღაც დაბნეულ კარებს მიღმა ჩაბრუნდა. ვარაუდობენ, რომ ორივე ოპოზიციური პარტია მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ოქტომბერში დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში.

ლონდონში „უემბლის“ სტაციონზე ჩატარდა პოპ-მუსიკის გარკვეულთა გრანდიოზული კონცერტი, რომლის მთელი შემოსავალი ქუთი ლტოლვილთათვის დახმარების გაწევას მოხმარდება. კონცერტი თანამგზავრის მეშვეობით ტრანსლირებული იყო მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და მას თვალყურს ადევნებდა 300 მილიონი ტელემაყურებელი. მისი ორგანიზატორები ვარაუდობენ 17 მილიონი დოლარის, ანუ ისეთივე თანხის შეგროვებას, რაც დიდი ბრიტანეთის მთავრობამ გაიღო ლტოლვილთა დასახმარებლად.

ცონცერტის საპარტიო სკუპირებს შორის იყვნენ ბრიტანეთის პრემიერი ჯონ მეიჯორი და უელსის პრინცესა დიანა.

ირინა თაფლარაშვილი

ნუთუ...

ორ ფაქტზე გაიმბობთ, დსკ-გენერის გამოტანა თქვენთვის მომინდვია:

„ოლბათ, უკვე შეიტყვეთ, რომ 4 მაისს, ღამით, მიწისძვრამ ქუთაისში საგამომძიებლო იზოლაციორის საჩუქრად კორპუსიც დააზიანა. ბუნებრივია, პატიმრები უსაფრთხო აღვილას გამოიყვანეს. ამით ისარგებლა 379 პატიმარმა და იზოლაციორიდან გაიქცა. ამან უნებურად მეორე ფაქტი გამაჩვენა.“

შარშანწინ, სომხეთის მიწისძვრის შემდეგ აქაურ შრომა-გასწორების მაქსიმი რეჟიმის კოლონიაში უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა: თუცა კანონმდებლობა ამაზე ფიქრსაც კი კრძალავდა, პოლიცენიკ ყაზარისანს — სომხეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გამასწორებელი სამმართველოს უფროსს — ბეგერი არ უყუყუანია. მთელი პასუხისმგებლობა იყისრა და კანონის სიმკაცრეს ის დაუპირისპირა, რაც მძიმე წუთებში გულის კარნახით ყველაზე ადამიანური ეჩვენა — კოლონიიდან ზუთი დღის ვადით 248 პატიმარი გაათავისუფლა,

ისინი, ვისაც დაზარალებულ რაიონებში ჰყავდა ახლობლები. მათ შორის იყვნენ რეგიონდისტები, კანონიერი ქურდები.

მეზუთე დღეს — 1988 წლის 22 დეკემბერს — კოლონიაში 245 პატიმარი დაბრუნდა (არც ერთ მათგანს დანაშაული არ ჩაუდენია). ბოროტმოქმედებისათვის ოთხჯერის ნასამართლევი ლ. მარტიროსიანი თურმე ერთადერთი შეილის გვამს ნანგრევებში 4 დღე მარტოაღმართო ეძებდა. მეზუთე დღეს სულის სიდრემდე შეპრულმა მამამ თავისი კაცური პირობა მაინც არ დაარღვია.

თქვენ როგორ ფიქრობთ, რატომ დაბრუნდა ყველა პატიმარი? ოლბათ, უფრო იმიტომ, რომ მძაფრი იყო ეროვნული ტრაგედიის განცდა...

მაგრამ დაუბრუნდეთ ქუთაისში მომხდარ ფაქტს...

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ტელევიზიით არაერთხელ მიმართა ყველა გაქცეულ პატიმარს, რომ თუ თავისი ნებით დაბრუნდებიან, საპატიმრო აღვილიდან გაქცევისათვის გათავისუფლდებიან სისხლის სამართლის პატიმრობიდან.

თლის პასუხისმგებლობისაგან. თავისი ნებით 17 პატიმარი დაბრუნდა იზოლაციორში. ოპერატიულად შექმნილი სამძებრო ჯგუფმა (ხელმძღვანელი — რესპუბლიკის შინაგან საქმეთა-მინისტრის მოადგილე გ. შალაშვილი) დღეისათვის 200-ზე მეტი გაქცეული დააკავა.

ძნელია სწავის განსჯა, მაგრამ რესპუბლიკაში შექმნილი კრამინოვური კრიზისი აღარ იძლევა სიჩუმის უფლებას. დამნაშავეებსაც ზომ კარგად მოეხსენებათ, რომ დღეს ყოველი მკვლელობა, ყოველი ბოროტმოქმედება საქართველოსთვის გულში ჩაიკეცილი დანაშაულია, დანაშაული კი მაინც მატულობს.

ამიტომაც, ძნელია, თანე მოიტყუო, რომ გაქცეულ დამნაშავეთაგან ბევრი კვლავ ახალ ბოროტმოქმედებაზე არ ფიქრობს. ნუთუ ძვირფასია ჩვენი ეროვნული ტრაგედიით სარგებლობის შედეგად მოპოვებული თავისუფლება? და საერთოდ, რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ თვით მიწისძვრით დაზარალებული რაიონების მოსახლეობა გაქურდვის შიშით საკუთარი სახლის ნანგრევებს ვერ მოშორებიან.

მაია თუნაია

ყურადღება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახალხო თეატრი 16, 17 მაისს 19.30 სთ-ზე მართავს რევაზ გაბრიძის განახლებული დღეების პრემიერას!

„უცხო ჩიტი ანუ პირველი სიყვარული“.

შემოსავალი გადარიცხება სტიქიით დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში. კოსტაჟი ქ. № 69.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის II სასწავლო კორპუსი. ტელ.: 36-71-84.

მალაზია

სასტუმროები

კიდევ ერთი მალაზია გაიხსნა სასტუმრო „მეტეხში“, რომელიც ჩამოსულ სტუმრებს და ვალუტის მქონე ჩვენს თანამემამულეებსაც

მოემსახურება. ეს არის ერთ-ერთი რგოლი იმ დიდი კომპლექსისა, რომელიც მომავალში იქნება სასტუმროში. აქ გაიყვანება ყველაფერი — კბილის ჭაგრისიდან დაწყებული, ბელოვების ნიმუშებით, წიგნებით დამთავრებული. სამრეწველო საქონლის ფასი 50 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე ავსტრიაში, საიდანაც მარაგდება მალაზია.

მაშ ასე, სასტუმრო „მეტეხის“ მალაზია ელის მყიდველს.

საპუტარი ინფორმაცია

ყურადღება! პიშივე! პასტარაშენი!

კია-დახმარების მისაღებად. ბიონერგოკორექციის სეანსებს ექიმი ჩაუტარებს მოზრდილებსაც. პაციენტებს შეუძლიათ მიმართონ შემდეგი დაავადებებით: ასთმური ბრონქიტი, აღერგიული დერმატიტი, კუჭ-ნაწლავთა აშლილობა, შარდის შეუკავებლობა (ცნურეზი), ვეგეტოვგვრია, ნევრითი, სხვადასხვა სახის ანთებითი

პროცესი, თვალისა და ყელ-უფრცხვირის დაავადებები. მიღება ყოველდღ 17.00-21.00 შაბათ-კვირას 10.00-15.00 საათამდე ფინიოთერაპიული საავადმყოფოს შენობაში. ჩუბინაშვილის ქ. № 80 (ყოფილი ორჯონიკიძის) მიღება წინასწარი ჩაწერით ტელეფონზე: 95-87-24.



გახსლებული სახით გამოვიდა სამედიცინო-ტექნიკური და საზოგადოებრივი გაზეთი „პროგნოზი“. იგი პირველი სამედიცინო-ტექნიკური გაზეთია. გამოდის ქართულ და ინგლისურ ენებზე და პოპულარიზაციას უწევს საამუშაო მეცნიერების იმ სიახლეებს, რომლებიც ემსახურებიან

რესპუბლიკის ეკონომიკისათვის უმნიშვნელოვანესი დარგების მეცნიერულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას.

გაზეთი ფართოდ აშუქებს სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიის დანერგვისა და მათგან მოსალოდნელი ეფექტის საკითხებს, ამასთანავე იგი ქსრულობს დააკავშიროს დაინტერესებული სახელმწიფო ორგანიზაციები, დაწესებულებები, კორპორაციები თუ კერძო პირები სხვადასხვა საბჭოთა და უცხოურ ორგანიზაციებთან, შეტყობან, ინფორმაციის ცენტრებთან.

გაზეთს ჰყავს ავტორიტეტული სარედაქციო კოლეგია და მრჩეველთა საბჭო. მთავარი რედაქტორია გიორგი ლაბაძე.

გამოიწერეთ გაზეთი „პროგნოზი“. მისი ღირებულებაა:

- 1 თვით — 1 მანეთი
- 6 თვით — 6 მანეთი
- 1 წლით — 12 მანეთი
- ინდექსი — 66 424.

უცნაური ლეგენდები გრძნობა და მუშაობა, როდესაც სასტუმროს პოლიტიკაში ჩამოვარდნილი და თვითონ თვითონ გაუფრთხილები ალტონის. მისი ღრმა, შუქიანი თვალებიდან მისი და ტაოელის, კლარჯლისა და ჯანის უტყუარება კრთის! ძლიერი აგებულების, წარმოსადგენი მამაკაცი დინჯად, მოზომილად მასსულობის, საჭირო სიტყვების მიგნებისას ფართოდ ხსენება შუბლი. შავი და ზნეობითი წარმოდგენები მალა და განზე იწევენ.

— 1940 წელს დაიბადე შავში ეთს, იმერეთის მხარეში. მამაჩემი ყოფილი კაცი იყო, ორი მალაზია გახსნა და ქსოვილებით ვაჭრობას მიჰყო ხელი. გარკვეული თანხა დააგროვა და 1949 წელს სამსუხსნადად გადამდგა საცხოვრებლად ზღვისპირას. იქ მამამ მიწა იყიდა, მიწა იყო ხელი მის დამუშავებას. ქსოვილებს ვერ შეეღობა და სამსუხსნა გახსნა ფართოების მალაზია. საქონელი სტამბულიდან მოჰქონდა. მამა თავის მამულში და სხვებისაგან მოწვეულ ჰერნახულს (ყოფილი იმთავით) აფასებდა, აწყობდა ყუთებში და საზღვარგარეთ ექსპორტად აგზავნიდა. დააგროვა ამ გზით მცირე კაპიტალი.

სულ მალე მე სტამბულს, „რობერტ-კოლექში“ გამაშვეს. იქ ჩავაბარე მისაღები გამოცდები და სწავლას შევეუდგე მოსამზადებელ განყოფილებაში. აქ ძირითადად ინგლისურს ვეუფლებოდით. ერთხელ ჩამოდიხი მამა და მეუბნება, აპმეტ, აიკარ შენი გულ-დანაბადი, შინ, სამსუხსნა, უნდა დაგაბრუნო.

მამას ჩემს გარდა ექვსი ქალი ჰყავდა. ამისგან გზაში — შვიდი მოწვეული კაცი ხარ უკვე. ხომ გე-ღვ, გვერდში ამოძვლომი არა-ვინა მყავს. ხოლო ორი მამაკაცი სულ სხვა, წარმოებასაც გაავა-რობებო, შემოსავალიც მეტი გვექნება.

მალე კოლეც შემოიღო და და-ვიწყე ახალი ცხოვრება. უნდა გითხრათ, მაინცდამაინც ვერ გავა-მართლე მამის ოცნება, რადგან ბიზნესში კი მექნია, მაგრამ პო-ლიტიკურ სარბილზეც ვცადე ბე-დი. ვფიქრობ, არცთუ წარუმატე-ბლად.

მუზიკალური, მუყაითი და გონივრული შრომის შემდეგ მა-

მა-შვილმა საკმაო თანხა დააგრო-ვა. საჭირო გახდა ბიზნესის ახა-ლი მიმართულების პოვნა-დაწყება. 1964 წლის 21 დეკემბერს გა-ხსნეს თურქეთის სინამდვილეში პირველი კომპერატივი. კერძოდ, მათ შეიძინეს საჭირო ტექნიკა უცხოეთში რძის ქარხნისათვის, შემოიტანეს სამაცივრო დახად-გარები, შემოიყვანეს ჯიშაბი საქონელი, დათესეს იონჯა.

აპმეტი ექვსი თვით გაეშვა-რა სასოფლო-სამეურნეო კურსე-ზე ჯერ სტამბულს, მერე კი —

პასან ქორქმანჯანი. ეს საბჭო გა-ნაგებს თურქეთში დემოკრატიულ საქმეებს, სხვა ქვეყნების პარლა-მენტებთან ურთიერთობის საკი-ნებს. ჩვენ ახლა კონკრეტული მისიით ვიყავით ჩამოსული. კერ-ძოდ, ძალზე გვსურს თურქეთის მაღალ მთიანეთში საბაგირო გზე-ბის დამონტაჟება-დაწყება. ვიცით, რომ საქართველოში ამ კუთხით აქვთ გარკვეული გამოცდილება, ჰყავთ პირველხარისხიანი ინჟი-ნერები, სპეციალისტები. მაგრამ, მოგვსენებათ, დიდმა უბედურე-

რქეთში, სახელმწიფო ბანკის შე-მდე...

— ჩვენებურები თუ არიან შე-ძლებულთა შორის?

— კი, მილიონერთა შორის არიან „ნეთ-პოლინგ“ ფირმის დამაარსებელი ბარდას ქუნთაი, აგრეთვე „თექფენოლინგის“ მფლობელი ნიპატ გოგითი (გოგა-ტიძე). პო, არ დამავიწყდეს, მი-ლიარდულია ალი რეზა ჩარბიქე-ლი, აგრეთვე, ისმეთ აჯარი, ცხო-ბილი მშენებელი. ამ უკანასკლე-მა ბრწყინვალედ ააშენა სტამბუ-

ლარი 10 წლის ვაღით. როცა და-იწყებო მუშაობას, შეგიძლიათ წელიწადში აწარმოოთ 2 მილიო-ნი ლირებულების კაფელი. 1 მი-ლიონი ლირებულების პროდუქ-ციას შინ დატოვებთ, 1 მილიო-ნისას ექსპორტში გაუშვებთ. სა-შუალოდ 1 კვარტალში შეტრი კაფელი ღირს 3 დოლარი.

10 წელიწადში მართო ვალუ-ტა დარჩება ჰექვენში დაახლოე-ბით 26 მილიონი დოლარი. პლუს ამას აქ დარჩენილი და გამოყენე-ბული 10 მილიონი ლირებულების კაფელი. ესაა საქმე!

— ბატონო აპმეტი! როგორ შე-იძლება დაახასიათოთ პოლიტიკე-რი ვითარება თურქეთში და სა-ქართველოში?

— თურქეთი უკვე ეკონომი-კურად წელგამართული ქვეყანაა. ახლანდელი ჩვენი დემოკრატია ბრავალპარტიული დემოკრატიაა. პრეზიდენტი ოზალის პერიოდში ეკონომიკამ არანაშუალ სიმძლევებს მიაღწია. თურქეთს დიდი ეკონო-მიკური კავშირები აქვს სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებთან, აგ-რეთვე, აღმოსავლეთ ევროპის ქვე-ყნებთან. კარგ კავშირებს ყავრება საფუძველი სსრკ-სთანაც.

ეკონომიკური თვალსაზრისით ძალზე პერსპექტიულია ჩვენი პრეზიდენტის მიერ წამოყენებუ-ლი ე. წ. „ქუის“ პროექტი. ძავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის იდეა.

ვფიქრობ, იგი ზღვის აუზის ყველა ქვეყნისთვის მისაღები და მოსაწონია.


რაც შეეხება საქართველოს, აქ მე აღვცე ჩამოვსულვარი. გან-სხვავება ისეთია, როგორც ცასა და ღედამიწას შორის.

მე ვაკვირდებოდი პრეზიდენტ გამსახურდიას ჩვენი ამასწინანდე-ლი შეხვედრისას. მე მივირის ამ კაცის ძალაოვნება. მისი ბრძოლა სინამდვილისათვის განუყოფელი-ებელიც კი სჩანდა. მან გაიმარ-ჯვა. ეს კი რაღაც სასწაულსა ჰგავს. ჩანს, ღმერთი მის მხარე-საა. ესარგებლოდ შემთხვევით და მინდა ახალგაზრდული გახეთის მეშვეობით ვუსურვო ქართველ ერს ჰერითაშენა, უწინაარს ე-კონომიკური აღორძინება.

გაიგო რუსხინა.

ოლავ გავლენისინის ფოტო.

უწინარეს-პრონოიკური აღორძინება



აპმეტ ალთუნი

ბამ, მიწისძვრამ შეგვიშალა ხე-ლი...

ბატონ აპმეტს ბიზნესისათვის ხელი არ უკრავს. საფრანგეთში მას აქვს ფირმა CGM (სეჩეიე), რომელიც აშენებს თანამედროვე კომფორტულ სახლებს, ვილებს, რესტავრაციას უკეთებს მათ. ფი-რმა ქალაქ მეცში მდებარეობს.

ბატონ აპმეტს ხუთი შვილი ჰყავს, სამი ვაჟი და ორი ასული. უკვე სამი შვილიშვილის პაპაა 50 წლის კაცი.

— ბატონო აპმეტ, ვინ არის თურქეთის ყველაზე მდიდარი ადამიანი?

— დიას, ყველაზე ჰონებიანია ვეპბი ქოჩი, ფირმა „ქოჩპოლი-ნგის“ დამაარსებელი. მისი წლი-ური შემოსავალი შეადგენს 250 მილიონ დოლარს. ასევე გან-თქმულია საქიბ საბანჯი, ფი-რმა „საბინჯი პოლინგის“ თავ-კაცი. მისი ბანკი პირველია თუ-

ლის ერთი კვარტალი.

ყველა ზემოთხაზოვლიანი ბო-რჩიდან არიან წარმოშობით. ერ-თი ჰინიკაა მილიარდულია შორის. ესაა ილმას ულუსოი, „ულუსოი-პოლინგის“ დამაარსებელი.

— ბატონო აპმეტ, რითაა ახლა დასავლეთ ევროპის ტექნიკური ინტელექტი დაკავებული?

— ბევრი რამით, მაგრამ ერთზე კი უნდა შევჩერდეთ. ესაა ალტერ-ნატიული ელექტროენერგიის წა-რმოების ტექნოლოგია. საფრან-გეთში, მაგალითად, მწვანეთა პა-რტია იბრძვის, რომ აკრძალონ ის საწარმოები, რომლებიც ჰაერს ატუქუიანებენ. მაღე, ალბათ, ევ-როპაში არც იქნება ატომური და ზოთეექტროსადგურები, ტყავის თუ ქიმიური საწარმოები. ისინი ვნებენ ადამიანის ჯანმრთელობას.

— ბატონო აპმეტ, დასაშალი არაა, საქართველო ეკონომიკურ-ად ძალზე დაბალ დონეზეა, ამას თავისი მიზეზები აქვს. რით და-იწყოს მან, რა გზები ეძიოს?

— უნდა გითხრათ შემდეგი. საქართველოს არ უნდა შევიშ-დეს სესხის აღების სხვა ქვეყ-ნებისაგან. წინასწარ უნდა გახსა-ზღვროთ, რამდენად რენტაბელუ-რი იქნება ესა თუ ის საქმე.

ავიღოთ მარტივი მაგალითი, კა-ფელის წარმოება. ვთქვათ, კაფე-ლი გავსაწავი თინა კარგი გაქვთ. ესე იგი, უნდა შემოიტა-ნოთ კაფელის საწარმოებელი ტე-ქნიკა, ააგოთ ქარხნები, დავუშ-ვათ, აიღოთ სესხი 3 მილიონი დო-

წერილები რედაქციას

3 მაისს ქართულმა საზო-გადოებრიობამ დიდი ქართველი მწერლის, ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო მოღვაწის კონს-ტანტინე გამსახურდიას დაბადების დღე იზეიმა. ორიოდ დღის შემდე-გ კი სატელევიზიო პროგრამა „მოამბე“ გვიჩვენა პოლო იაშ-ვილის ქუჩაზე №13 სახლის კე-დილიდან ჩამოვარდებული მემორია-ლური დაფა.

ქართული მხატვრული ფილმის „გარდასულ ფერთა“ გადამღები ჯგუფი პროტესტს გამოთქვამს მსგავსი ვანდალური აქციების წი-ნააღმდეგ. ამა თუ იმ პიროვნების მიმართ საკუთარი აზრის ასეთი საშუალებით გამოხატვა, თუმცა ყველაზე მეტად ბოროტმოქმედის სახეს წარმოაჩენს, შეურაცხყოფს მთელს საზოგადოებას და მკაცრად უნდა იქნეს დაგმობილი.

დავით ძვარცხავა
რეზისორი

საქართველოს ახალგაზრდულ კავშირში ლატვიიდან ასეთი ბა-რათი მოვიდა:

„ძვირფასო მეგობრებო, 29 აპ-რილს საქართველოში მომხდარმა მიწისძვრამ სულთ ხორცამდე შე-გვძრა. ლატვიელი სალბი ღრმა თანაგრძნობას გიცხადებთ და გჯეროდეთ, რომ თქვენთვის ამ მძიმე წუთებში თქვენს გვერდით ვართ. გთხოვთ, შეგვატყობინოთ,

თუ რა სახის დახმარება გესაქი-რობათ.

ლატვიის ახალგაზრდობის დე-მოკრატიული კავშირი.“

მსგავსი სახის ღებუშები მოგ-ვივიდა ბალტიისპირეთის სხვა რე-სპუბლიკებიდან, სომხეთისა და უკრაინის დემოკრატიული ახალ-გაზრდული კავშირიდან, აშშ-დან, ინგლისიდან, სამხრეთ კორეიდან, ავსტრალიიდან და სხვა ქვეყნე-ბიდან.

ლატვიელ მეგობრებს პასუხი უკვე გაეგზავნათ.

საპარტეზელს ახალგაზ-რდული კავშირის პრე-სენტრი

კიდევ ერთი უბედურება... ბელისწერამ კვლავ დაგვაყენა გა-ნსაცდელის წინაშე. მთელი საქართველო ფეხზე დგას.

ჩვენი სკოლის პედაგოგიურ კო-ლექტივის და მოსწავლე ახალგაზ-რდობასაც სურს თავისი მოკრძა-ლებული წვლილი შეიტანოს სტი-ქიით დაზარალებულთა დასახმა-რებლად. ამ მიზნით დახმარების ფონდში ჩავრიცხეთ 5722 მანეთი. შევაგროვეთ დაახლოებით 1000-მდე დასახელების 50 ცალი ყუთი ტანსაცმელი, სურსათი და მედი-კამენტები. სტიქიით დაზარალებუ-ლთა რაიონულ შტაბს ჩავაბარეთ 3 ცალი კარავი. პედაგოგიური კო-

ლექტივისა და უფროსკლასელთა 30-კაციანი რაზმი საჭიროების შე-მთხვევაში, მზად არის პრაქტიკუ-ლი დახმარება აღმოუჩინოს დაზა-რალბულებს.

გიორგი ჩიბაშვილი
თბილისის 70-ე რაევლიანი
სკოლის დირექტორი

გავიდა ხანი და გამოჩნდნენ ისი-ნი, ვისაც ნამდვილად შესტკივთ გული ჯავახეთზე და იქ ჩასახლე-ბულ ქართველობაზე. მანამდე თუ რამდენიმე დღეინტერესებული პი-რი გვიჩვენა შემოღობილადგარად მცირედ დახმარებას, ახლა იმატა მათმა რიცხვმა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სრულიად საქართველოს პედაგო-გთა სამართლებრივი დაცვის კავში-რის საკოორდინაციო საბჭოს წევ-რთა როლი. მათ მთელი საქართვე-ლოს მასშტაბით შეადგინეს გრა-ფიკი და იმის მიხედვით ყოველ-თეორად, სისტემატიურად ჩამოვა სურსათი, ჩასაცმელი, სასკოლო ნივთები. მათივე ძალებით ჩატა-რდება ღონისძიებები.

პირველი მერცხლებიც გამოჩნ-დნენ თბილისიდან: 52, 158, 60, 178, 24, 63-ე საშუალო და 4, 8, 9, 25-ე მუსიკალური სკოლები, სმენადარღვევით დაზარალებუ-ლი ინტერნატი, III ექსპერიმენ-ტული სკოლა, რომლებმაც ერთო-ბლივი ძალეობით სააღდგომოდ გა-მოგზავნეს ყოველ ზემოთხაზო-ვლით, რაც ყოველ ქართველზე განაწილდა.

ასევე რეალურია ისიც, რომ ერ-თობლივი ძალეობით ყოველთვიუ-

რად ფულადი დახმარება სტიქე-ნიების სახით დაუნიშნეს ჩამო-სახლებულ ქართველ პედაგოგებ-სა და ჯანმრთელობის მუშაებს (თვეში 100 მანეთი).

სრულიად საქართველოს პედაგო-გთა სამართლებრივი დაცვის კავ-შირ უახლოეს მომავალში სოფელ გორელოვკაში 100-120 ბავშვზე იწყება საბავშვო ბაღის მშენებლო-ბას.

ასევე თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა ახლად ჩამოყა-ლიბებულმა უმძლესმა სამუსი-კო პედაგოგიურმა ინსტიტუტმა.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ბავშვთა ფონდის როლიც; ნინო-წმინდისა და მისი რაიონების მა-ტერიალურად გაპირვებულ და ინ-ვალიდ ბავშვებს, აგრეთვე, ბე-შვებს მრავალწლიანთაოჯახები-დან დაეინიშნათ ფულადი დახმა-რება, დიას, ნაწილობრივ გამოსწო-რდა ჩვენი მდგომარეობა. ჩვენც, ჩვენი მხრივ, კვლავაც გავიდგამთ ფიქსს ჯავახეთში და დავმარდ-ები, დავფუძნებთ, მოვმძლვე-რდებით...

ლელია თელიაშვილი

ნინოწმინდის სამუსიკო სკო-ლის ხასწავლო ნაწილის გა-მგე

მინდა გიაგზოთ ქალაქ ნაღჩი-კში მცხოვრები რაქველები შე-სახებ, რომლებიც 1915 წლი-

დან ღუბჯირი ცხოვრების გამო გადმოხვეწილან აქ. იმის შემდეგ რამდენი თბოვნა, რამდენი წერი-ლი დაუწერიათ, რომ როგორმე ფეხი დაედავოთ საქართველოს მი-წაზე, მაგრამ ყველაფერი ამაოდ ჩაუვლია. დაპირება დაპირებად დარჩენილა და საქმისათვის არა-ვის მიუღწევად.

ეს ხალხი იმისათვის იბრძვის, რომ დღეს იქნება თუ ხვალ, წავი-დეს თავის სამშობლოში. ხანდაზ-მულბმა ცოტა იციან ქართული. მაგრამ 30 წლის ასაკამდე სრუ-ლიად არ იციან.

1989 წლის სექტემბრიდან გაი-ხსნა ი. გოგებაშვილის სახელობის საზოგადოება „როინი“, გაიხსნა ქართული ენის შემსწავლელი კლასები. ვამზადებთ ქართველებს საქართველოში საცხოვრებლად უკვე დროა, მივხედოთ აქაურ ქა-რთველებს, რომ მათ იცხოვრონ ჩვენს მაღლიან მიწა-წყალზე, ჩვენს თავისუფალ (აღრე თუ გვი-ან), დამოუკიდებელ საქართვე-ლოში. ამიტომაც უნდა დავებმა-როთ მათ ბინების გაცემაში ან აქ გაყიდული ბინის ნაცვლად მანდ ბინის შეძენაში.

ზარო გიორგაძე
მასწავლებელი
ნაღჩიკი

წერილები რედაქციას



საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტრის
სამსახური

საგარეო ურთიერთობების
მინისტრის
სამსახური

„ახალგაზრდა ივრეული“

საგარეო ურთიერთობების
მინისტრის
სამსახური

საგარეო ურთიერთობების
მინისტრის
სამსახური

როგორც ჩანს, იდეოლოგიის შეუფასებლობის კიდევ ერთ მაგალითს ვაძლევთ ისტორიას: ეროვნული ინტერესებისადმი უცხო მარქსისტულმა იდეებმა და მასზე დაფუძნებულმა ახალ წარსულის განუწყვეტელმა იდეოლოგიურმა დივერსიებმა თავისებური სულიერი ალერგია ასაზრდოვეს ჩვენს თავებში — „მშვენიერ“ მოძალბებულ იდეოლოგიურ ფეტიშს „შეილება“ სრული და ყოველმხრივი „დე-იდეოლოგიზაცია“ დავუყენეთ ფარად...

მაგრამ შევძლებთ კი ასეთ სრულ და ყოველმხრივ „დე-იდეოლოგიზაციას“? ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ვერ შევძლებთ: ყველა ისტორიული ეპოქა, მათ შორის დღევანდელიც, თავის შესაბამის იდეურ არქიტექტონიკას თხოულობს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დიდ შეცდომას დაუშვებს, თუ ამ საყოველთაო მოთხოვნისგან ანგარიშს არ გაუწევს: საქართველოს დღევანდელი და ხვალისდელი ინტერესები თხოულობენ გარდამავალი პერიოდის იდეოლოგიის შექმნას — იდეოლოგიური ვაკუუმი ამ (გარდამავალი პერიოდი) უდავოდ სწორ პოლიტიკურ იდეას საბოლოო გამაგრების საფუძველს გახდება...

გარდამავალი პერიოდის სწორი სტრატეგიული იდეების ფორმირებასა და ცხოვრებაში მათი მატერიალიზაციას მნიშვნელოვნად აფერხებს ისიც, რომ ქვეყნის თავდაცვისა და საგარეო-პოლიტიკური ფუნქციების დაკარგვამ მნიშვნელოვნად დააჩინა ეროვნული პოლიტიკური ცნობიერება უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე. დღევანდელი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ვალია, რაც შეიძლება სწრაფად დაძლიოს მემკვიდრეობით გადმოცემული ეს ინერტულობა. ამის განხორციელება კი მხოლოდ წარსულის, აწმყოსა და მომავლის პოლიტოლოგიური ანალიზის საფუძველზეა შესაძლებელი. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარების მიზნობრივი მიმართულებანიც ქართული პოლიტოლოგიის ფორმირების ამოცანას უნდა დაეჭვემდებაროს — გარდამავალი პერიოდის იდეოლოგიის შექმნა. მხოლოდ ამ გზით მივაღწევთ ფილოსოფიის, ისტორიის, სამართალმცოდნეობის... საზოგადოებრივ მეცნიერებათა მთელი კომპლექსის გამოყენებით ღირებულებებს: წრდს, ხაერთოდ, მათი არსებობის გამართლებას: ძველი, განყენებული სოციალოგიური დოგმებისაგან ჩამკვდარი, ეროვნულ ნიადაგზე უნდა გამოვაცოცხოთ...

არ არსებობს განყენებული, აბსტრაქტული პოლიტიკა — ყველა პოლიტიკის თავისი კონკრეტული ობიექტი აქვს. ამასთან, თვითვე ქვეყნის პოლიტიკასაც ეროვნული ინტერესები განსაზღვრავს და არა ცალკეული პოლიტიკური მოღვაწეები. ეს უკანასკნელი მხოლოდ მეტ-ნაკლები წარმატებით ახორციელებენ მას. ისე, რომ ნებისმიერ პოლიტიკას, ისე როგორც პოლიტოლოგიას, განმსაზღვრელი სიტყვის წინ დართვა აუცილებლად სჭირდება. ჩვენს შემთხვევაში, ეს სიტყვა „ქართული“ უნდა იყოს: ქართული პოლიტიკა და ქართული პოლიტოლოგია აი, ჩვენი ინტელექტუალური ძალების მთავარი საზრუნავი და ერთდროულად, გარდამავალი პერიოდის ეროვნული იდეოლოგიის მთავარი იარაღიც. მას დროულად უნდა დავეუფლოთ ყველა, განსაკუთრებით ჩვენი ახალგაზრდობა...

პოლიტიკა და მისი პოლიტოლოგია ანალიზიც ერთდროულად ორი — ვერტიკალური და ჰორიზონტალური მიმართულებით უნდა წარიმართოს: ვერტიკალურ კრილში გააზრებული პოლიტიკა და პოლიტოლოგია ნიშნავს ერის ისტორიის თავისებურ გათანამედროვეობას: ეროვნული სულის აღორძინებას ტრადიციონალიზმის საფუძველზე. ჰორიზონტალურ კრილში გააზრებული პოლიტიკა და პოლიტოლოგია კი, ჩვენი თანამედროვე ისტორიის დაკავშირება — ადაპტირებას საერთო-საქართველო განვითარების მაგისტრალურ მიმართულებებთან.

ეროვნული და გლობალურის, ტრადიციულის და ზოგად-საყოველთაო ღირებულებათა ურთიერთშეჯერება და შეარწყმე ოდითგანვე შეითვისა ქართულმა აზრმა. მას ათასწლეულების ისტორია აქვს. მეტიც, გარკვეული ფილოსოფიური, ზოგად-სოციალოგიური დასაბუთებაც მოუძებნა ქართველმა კაცმა. ჩვენი ეროვნული სულიც პალესტინიდან მოყოლებული, ყოველთვის ეძიებდა შეხების წერტილს ცივილიზაციის მაცოცხლებელ ფესვებთან...

აქ ჩვენი ეროვნული კულტურის გახსენებაც ღირს: რამდენს გვეუბნება ამ მიმართებით მარტო „ვეფხისტყაოსანი“ — ზოგად-კაცობრიულისა და ეროვნულის ორგანული მთლიანობის მეტყველი მოწმე. შემოქმედისადმი მიძღვნილი მისი პირველივე სტროფები გავიხსენოთ: „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა, ზე-გარდმო არსნი სულითა ყენა ზეცით მონაბერითა, ჩვენს კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერი...“ ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა...“. ქართულმა გენმა მსოფლიო, ზოგად-საყოველთაო რელიგიის თავისებური მოდული მოძებნა: მისთვის ღმერთი ერთია, ის „რომელმან შექმნა სამყარო“, იგი გვაერთიანებს ყველა კაცს — მთელ კაცობრიობას, იმიტომ, რომ სწორედ ამ ერთადერთმა ღმერთმა შექმნა „სახე ყოვლისა ტანისა“, მან მოგვცა „ჩვენი, კაცთა, ქვეყანა უთვალავი ფერითა“ და ამასთან, ძალაც „და-თრგუნვად სატანისა“. ასეთი ღმერთი არ შეიძლება მრავალი იყოს — იგი ერთია.

საოცარი და მრავალსმეტყველია, რომ მთელ პოემაში ვერსად შეგვხვდება ღმერთის კერძოობით სახელს — ვერც ქრისტეს, ვერც ილევს, ვერც ბუდას თუ ალას... რუსთაველის ღმერთი უსახელოა, კაცივით მას ცალკე, კიდევ დამატებით კერძოობით სახელი აღარ სჭირდება, იგი ყველას ღმერთია. მაგრამ ამასთან, ამ საყოველთაო და ერთადერთი, ყოველივეს და ყველაფრის შემქმნელი ღმერთის გონით ყოველივე არსებულს და მათ შორის, თითოეულ კაცს, თუ ხალხს ცხოვრების თავისი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი წესი და რიგი შეუქმნა და დაუწესა თაობიდან თაობაში სამემკვიდრეო გადასაცემად. მისგან გადახვევა, ღვთისგან დაწესებული ამ საგლი გზის გამრუდება-გაუკუღმართება კაცსაც და ქვეყანასაც უბედურების გარდა, სიკეთეს არაფერს მისცემს. ყველამ უნდა მივსდეთ მას და ამასთან, საშვილიშვილო ანდერძად დავავლოთ იმ გზა-კვალს ერთგულება, რომელზეც უზენაესმა შეგვაცენა თავდადებე...

ამ ზოგად-ფილოსოფიური წინამძღვრებიდან გამომდინარე, დღეს ყველგან — იაპონიიდან კურილიამდე, ასე ძალუმაღ ალარმინებული ტრადიციონალიზმი სხვა არაფერია, თუ არა ერის თვითშეანების თანდაყოლილი ბუნებრივი რეფლექსი. ამ რეფლექსის დაჩლუნება ხიკადილის ტოლფასია ნებისმიერი ხალხისათვის. ისტორია არაერთ მავალით იძლევა ამ საერთო-ეროვნული ტრაგედიისას: „მკვდარი ენები“ და „მკვდარი ხალხები“ უტყვი მოწმეა ამისა... ამიტომ დიდი, გადამწყვეტი თუ არა, მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ „ძნელბედობის“ ხანგრძლივი პერიოდით დაკნინებული ეროვნული ტრადიციების, მათ შორის კი, განსაკუთრებით, სახელმწიფოებრივი მოწყობისა და მასზე დაფუძნებული ეროვნული ცხოვრების ძირეული პრინციპების მოძიებას და აღდგენას. გარდამავალი პერიოდის იდეოლოგია და პრაქტიკა უპირველეს ყოვლისა, ტრადიციონალიზმს უნდა დაეფუძნოს.

ჩვენს ქვეყანას დაუდგა ისეთი დრო, როცა თვისებრივად უნდა

იქნას გადასინჯული მისი მატერიალური და სულიერი ყოველივე ძირითადი მიმართულება. ეს გლობალური გადასინჯვა უნდა დაეჭვემდებაროს ერთადერთ პოლიტიკურ მიზანს — აღსდგეს საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების ბუნებრივ-ისტორიული პროცესი. ეს უნდა გახდეს ჩვენი პოლიტიკური სტრატეგია ეროვნული ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროში და ამასთან, გარდამავალი პერიოდის იდეოლოგიის ამოსავალი წერტილიც. გარდამავალი პერიოდის სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ არ შეგვიძლია უარი ვთქვათ მემკვიდრეობაზე, მაგრამ ამასთან, ვერც ხელაღებით და გახურჩევივად მივიღებთ მას. აქ გაწონასწორება და პროპორციების დაცვა ძალზე ძნელია. ჩვენ დღეს იმოსტატს ვემსგავსებით, რომელიც ძველი ტაძრის ირგვლივ მომთვინებული ნანგრევებიდან ახალი, უფრო გრანდიოზული ტაძრის აგებას ლამობს. ჩვენს სწორ, უტყუარად გათვლილ „სამუშაო იდეებზე“ იქნება დამოკიდებული რამდენად შევძლებთ ამას.

მისდამხედვეთ, თუ ვინ როგორ უყურებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სტრატეგიას და ტაქტიკას გარდამავალ პერიოდში, შეიძლება ავადოთ გარდამავალი პერიოდის იდეური არქიტექტონიკაც და ამასთან, მოქმედების პრაქტიკული პროგრამაც. ჩვენი მხრიდან იგი ასე გვაქვს მოაზრებული:

I. „საერთო ნიადაგის“ თეორია და პრაქტიკა, როგორც გარდამავალი პერიოდის იდეოლოგიური ბაზისი, მომავალი საქართველოს „ხალხის ქვა“.

II. იმპერიის ისტორიული ბედი და საქართველოს საზინაო და საგარეო პოლიტიკის თავისებურებანი იმპერიულ სტრუქტურებში.

III. ერის თეორია და დამოუკიდებელი ქართული პოლიტიკის ისტორიულ-ფსიქიკური საწყისები: სახელმწიფო წყობა, ეკონომიკა, კონსტიტუცია.

IV. პოლიტიკის, პოლიტოლოგიისა და ტრადიციონალიზმის ურთიერთკავშირის არსი და დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურების ზოგერთი თავისებურებანი. კონსტიტუციური მონარქია. ფედერალიზმი.

V. ეროვნულისა და სოციალურის დიალექტიკა. სოციალური პასუხისმგებლობის ფენომენი ქართულ სინამდვილეში. „ზონობის“ ინსტიტუტი, — მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ისტორიული თავისებურებანი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

VI. კოლონიურიდან ეროვნულ ეკონომიკაზე თანდათანობით გადასვლა: ახალი აღმშენებლობის და ეკონომიკური სტრუქტურების შექმნა. ტრადიციული (რეგიონალური) დარგების აღორძინება და სამეურნეო განვითარების პირობიტეტული მიმართულებანი. დენდუსტრიალიზაცია. „ნამგლისა და გუთნის“ საქართველო — დეკოლექტივიზაცია.

VII. ეროვნული ეკონომიკა და მთის პრობლემები: ისტორია და პერსპექტივები.

VIII. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და გარდამავალი პერიოდის ეკოლოგიური და დემოგრაფიული პრობლემები. დეურბანიზაცია და ქართული სოფელი.

IX. ენერგეტიკული პრობლემები საქართველოს პირობებში.

X. ოპოზიციის თავისებურებანი გარდამავალ პერიოდში „სოცნეობა“ და „ხალხისობა“.

XI. ტოლერანტიზმის ისტორიული ფესვები და პერსპექტივები. „ყონალობის“ ინსტიტუტი და საქართველოს კავკასიური პოლიტიკა — კავკასიური „საერთო ბაზარი“, თუ „კავკასიის შერიტებული შტაბები“?

XII. საქართველოს გლობალური პოლიტიკის პერსპექტივები: ორიენტაციის მორიგი შეცვლა, მაგრამ რა მიმართებით? მამამლიანური საქართველო, ახლო აღმოსავლეთი და პანისლავიზმი.

აი, დაახლოებით პრობლემათა ის წრე, „სამუშაო იდეათა“ ის თვისებრივი მონახაზი, რომლითაც უნდა აშენდეს ჩემი აზრით, გარდამავალი პერიოდის ქართული პოლიტიკა და ქართული იდეოლოგია. თვითველ თქმას, რა თქმა უნდა, მომავლისათვის ვრცელი და ყოველმხრივი დასაბუთება სჭირდება, სპეციალური ისტორიული და თეორიული კვლევა-ძიება. აქ შეიძლება ბევრი იყოს საკამათო და მიუღწეველიც, მაგრამ ქვემოთჩამოთხა რომ დაპირისპირებულ აზრთა კიბილში მიიღწევა? ამასთან, სწორედ ალტერნატიულ საწყისებზე მოუღებთ ბოლოს იმ ავადმოსაგონარ ინტელექტუალურ კანდილიზმსაც, რომელმაც ასე დაგვაბეჩავა ერთიან-ბერიანად...

ეს პუბლიკაცია მეთხვეს უნდა. ჩათვალოს მიმდინარე გარდამავალი პერიოდის პოლიტოლოგიური პროგნოზირების ერთ-ერთ ალტერნატიულ ცდად. იგი შეიძლება თავისებურ „სასინჯ ქვადაც“ მივიჩნიოთ, რამდენადაც ამ 10-15 წლის წინ, მაშინდელ დისიდენტურ პრესაშიც გამოქვდა ამ პრობლემათა გარკვეული ნაწილი („იმპერიის ისტორიული ბედი“, „იოსებ სტალინი“, „მარიონეტების ფილოსოფია“, „უთავბოლობა, თუ სტეისი ზღლით ნარის გლეჯის პოლიტიკა“ და ი. ჯიმშერიძის ფსევდონიმით ზღმომწერილი სხვა სტატიები). მათგან ზოგიერთმა პოლიტიკურმა იდეამ დროის გამოცდის გაუძლო, ზოგიც დრო-ყამმა მოძვლებულად აქცია (მავალითად, ბოლშევიკური იმპერიის სრული საერთაშორისო იზოლაცია). მაგრამ მთავარია, რომ, მერაბ კოსტავას პროგრამული სიტყვებისა არ იყოს, თვითველმა ჩვენთაგანმა ეროვნულ მოძრაობაში ერისა და ქვეყნის ხსნის ქეშმარიტი გზა ვეძიოთ და არ ჩვენი ამბიციები მასში: საზოგადოების ყველა უბედურება ხომ იწყება იმ უკუღმართი ფსიქიკური მოდულიდან, რომელიც ასე შეიძლება გამოითქვას: ყველამ უნდა იფიქროთ და იმოქმედოთ ისე, როგორც მე...

ზნირად პოლიტოლოგიის ისტორიის ფილოსოფიასთანაც აიგივებენ და საქართველოს ისტორიის ფილოსოფიის ერთ-ერთი სახელმძღვანელო დასკვნაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სულიერი კათარზისის ფენომენს არანაკლებ, მეტი თუ არა, როლი უთამაშია ქვეყნის ხსნის საქმეშიც და ერის სულიერ წართობაშიც, ვიდრე ვთქვათ, დიდგორის მხგავს „ძლევაი საკვირველს“. მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენი ეროვნული სული ერთდროულად ცოტნეობითაც იწვრთნებოდა და შადიმანობითაც. ამის გათვალისწინებაც აუცილებელია გარდამავალი პერიოდის საქართველოსთვის სწორი გზაყვლის მიმსაქმად...

„შე“-თა ქვეყნიდან-ის რაც დღესა ვართ, „ჩვენ“-თა ქვეყანამდე-ის, რაც ხვალ უნდა ვიყოთ, სავალი გზა წარმომადგენლობითი მმართველობის დემოკრატიულ ინსტიტუტებზე გადის, ინსტიტუტებზე, რომელთა ფესვებს და ტრადიციებს ჩვენი ეროვნული ცხოვრების შორეული ეპოქებიდანვე ვხვდებით. აქ მარტო ადრეული ქართული რენესანსის გახსენებაც კმარა. ამ ფესვებს მოძიება და პატრონობა უნდათ. ამის ყველაზე ეფექტური და ამასთან, ერთადერთი საშუალება კი, ხალხის პოლიტიკისი ამადლებაა. ისტორიაც და თანამედროვეობაც იმას გვახსენებს, რომ არც ჩვენთან და არც სხვაგან მას ალტერნატივა არა აქვს. გარდამავალი პერიოდის და მისი იდეოლოგიაც მხოლოდ ამ შემთხვევაში შეასრულებენ თავიანთ ისტორიულ მისიას — კოლონიურიდან დამოუკიდებელ და თავისუფალ ქვეყანამდე საქართველოს ამადლებას.

მუშავე ბატიაშვილი

ლექსები

დაიბადა 1962 წელს ვილნიუსში, ლათვიაში
ა. ვილნიუსის სახელმწიფო საზოგადოებრივი
საზოგადოებრივი რადიოს სახელმწიფო რადიოს
ლიტვანიაში და ლიბერალური განათლების
გადასცემის სახელმწიფო რადიოს რადიოს
აპარატურის სახელმწიფო რადიოს რადიოს
სახელმწიფო რადიოს რადიოს რადიოს
სახელმწიფო რადიოს რადიოს რადიოს

რეჟისორის კაცის ცარიელი გამოსახულება

უფალო, ვიცი, შენი სამყარო
სადაც არის ცოდვებით და აგონიებით,
ბრძოლებს შორის კი მხოლოდ და მხოლოდ
მცირედები პაუზა მოჩანს —
ეს კუბოში ჩასაწყვნიად გამოდებული ცხელია...
დახედავს შენ ერთადერთი,
ახლანავე გათხრილ შავ მიწაზე
რგავ მოყვანილ პელაგონებს —
ჯარისკაცების თვალებსა და დედათა თმებში;
ო, ღმერთო ჩემო, როდის არის ეს სიყვარული,
ახლა სხვა დროა,
თითქმის სულ სხვა განზომილება
და მხოლოდ სურვილები მიერეკება ცხვარს
ფარად ქვეყნის სურვილისავე.
გინდა, იცოდეს რითი მთავრდება
რიგითი სპექტაკლი მოწყვნილობის? —
ფანჯრებს მიღმა მხოლოდ კივილით
არ შეიძლება მთვარემ შობოს
პირში თვისი,
ან ორმა უცნობმა სულიერმა
უმბროს ღრმა ცას
მოკლდეს ვარსკვლავთა უსასრულობაში,
რძე და თიხა სიყვარული,
შარავნაზე დამსხვრეული ლოდინის ფრესკა,
სიყვარული ბილიკთა მიერ შესმული მზეა,
გზადღაღრილი.
დილის შიშში კვლავ დაგროვდება
თვლების ფერმატალ კუთხეებში,
როცა ინათებს და ფერები მორთავს მიწას
შენ გტოვებს ღამე არგანზრახულ სიკვდილით
და მღუღინებით მხრებამოყრდნულ,
მინდობის და მოკამყამს.
მოუსმინე! როგორ მღერის
მცენარეები მოპირდაპირე სანაპიროზე.

ზიზილი

მე ამირჩიეს ფრინველთა მეფე
და ხელისგულზე, ჩიტნი თამაშად დაბიჯებენ.
ხელისგულს ძველ მანუსკრიპტში
ამოიკითხეს ფრინველებმა: რომ ღამით წვიმა
მოცელავდა თეთვან პურისას,
შუალამისას მართლაც გადასვდა ქერქი მთვარისა,
ფანჯრებიდან გამოჩნდა თოვლი, უნეტემო
პირქუში სახის
ფრინველი დიდხანს ჩურჩულებდნენ, რადგან
არასდროს მოესმინათ შიმშილისაგან
როგორ ყვირის ზურმუხტის თვალი.
იმ ღამეს, როცა იწვოდა ლიტვა
ყველა ფრინველმა მიატოვა
ტყე-საბუდარი, ზურმუხტის კვერცხი
და გზას დაუწყეს ძებნა, რომელიც
მიიყვანდა ღმერთის კარამდე.
მე ამირჩიეს ფრინველთა მეფე.

ფოტოგრაფია


სალამოსეში.
ქარი მოფრინავს ფანჯრების გასწვრივ,
უცხო ყმაწვილი იმხრება ღია სახლებში,
მას არასოდეს ენახა ღრმად
შიშველი ქალის ფოტოსურათი.
მთელი ღამე ერთი ფიქრი
ღრმად მის ცოდვილ სულს და გონებას,
ბროლის მკერდის ხილვისთანავე
მიამურა თავის მყუდრო სახლს მარტოსულმა,
ქარი ფეხდაფეხ მოსდევდა ყმაწვილს...
ფეხაკრეფით შემოიპარა ეულ ოთახში
ერთ საყვარელი,
როგორც სიცოცხლის მძაფრი საწყისი —
იასამნის ყვავილთ სურნელი შემოიყვანა.

ორი ლექსი სიყვარულზე და ეპილოგი

I
სიცივე მიპყრობს, ქალბატონო,
როდესაც ვხედავ, სახლის ფანჯრიდან:
ერთგულ ძალივით დატარებ — საყვედურით
ბეჩავ საყვარელს.
ხელისცეცებით მოგვება იგი,
ჩამსხვრეული სათვალავებით.
მე, ქერ კიდეც დაბადებულ — ვიცი, —
ქვეყნად მოვიდოდა წითელი ღამე
ქანდაკის შემოღობვა გაქმნებდა —
ჩემს ფანჯრის მინას...
გვრძნობ სულ მალე გამოიდარებს,
გვეშურები მთის ფერდობისკენ.
თვალს მიმოვაყვებ შეფენილ ცხვარს
და მიწიანი გრილი ხელებით
დავგლეჯ ბაღახებს...
შენ კი ნახანძრულზე დაიჭილი დამსხვრეულისგან
აგოწიწებ ყოფილ ცხოვრებას.

II
მე არ მესმის შენი ძახილი
რადგანაც ირგვლივ დაღმის ქარი,
ფრენიანი სიცილით ცდილობს
შეისრუტოს საყვარელი ქალის ბაგენი...
ყინულის თვალნი პალატაში

პიტაუტას



ვ. ლანდსკაპისი

შემოგაქვს კრძალვით
ისინი კი უცებ დნებან,
ეწვეთებიან ფოსტებში ამოთხრილ თვალთა,
საყვარელთა დერეფანში
პენსიონერი სალამოს დადის,
ხელისშეხებით გვასუფთავებს
მტვერს გვაცილებს სახეებიდან;
გვალერსები თითებით და
ბრძანებებს შევიგონებ
მოწყვნილობის და სიმარტოვის გაიგებას.

ეპილოგი

მთვარის ყვითელი წვენი მოწვევას
დღემიწის სახურავთან
კოშკის თავზე, ფლუგერის ნაცვალად
ზის ანგელოზი,
ბანალური სიმღერებით მოიხლანება შემოდგომა.

ელეგია

პირმშვენიერი მეგობარი
მყავს საზღვარგარეთ,
ბინა მაქვს — პარიზს
ცა მახურავს თავზე, ვით ქული.
განთიადისას ცირცლის ტყეს
შევიძენ საჩუქრად,
და პანდემონი მოვა სიკვდილი —
ჩემი გოგონა,
ხედავ ხანდაზმულ გახევება
აქ დარჩება სამარადყამოდ.
გაიხსნებინა მაშინ ქეში
რკინის ფანჯრები,
გაფრინდებინა ჩვენი სულები
ძველ ქალაქს — პარიზს,
სადაც მდებარე
ცრმელებით სტრის
ნოემბრის ფოთლებში ჩაძირული
შადრევანი ილუზიისა.

ფურცელი

ჩიტად ვიყავი გადაქცეული
გზად მოფრინავდა ჩემი სხეული
სახლს დავეძებდი, მარტო, ეული.
სადაც მომხდინ ცხოვრობდნენ ჩემნი,
სადაც განიხვინ ცარიბების ბეჭენი,
სეველა მიპყრობდა მე მარტო მთენილს.
ნეტავ თუ ცოცხლობს კვლავ ჩემი სახლი,
თუ გაფრინებს განწირულ ძახილს,
თუ შემეფარება ცხოვრებით დალილს;
პასუხად მოთხრა ექიმ ქარისამ,
რამ დაგამოხრა და გაგარისა,
ნუ შეეხები ფიცარს კარისას.
დავრჩი მარტოცა, ეული, უბრად,
გადავიქციე უცრად ზღურბლად,
უმწეო ჩიტის ბოლო საფლავად —
ცხოვრებამ კალთა გადამაფარა.

ავგისტო

დაბიჯებენ ხალხით დახუნძლულ ბაღების მიღმა —
სასახლები ამოვარდნილ
თვალის გუგებით.
გულიად, მშვიდად იცინიან
მათი კარები,
ალეგორიის ტირილები
თმაგაშლილი ხედებიან ყველას
და მწიფე ძუძუსთანავე ალაგზნებენ
გულმინდელ ნიავს
შემაძრწუნებლად ყუფენ ძაღლები შუალამისას,
როცა ჩემს ბრმა სატრფოსთან ერთად
მშვიდად ვსვირნობ სოფლის ბილიზე

გულმინ, სიხმარად
ჩემი ქალაქის — ვილნიუსის თავზე

მშვიდად მიფრინავდი,
ზევიდან ვუმზერდი
ჩვენს საქორწინო თეთრ სარკულს.
რომელიც შენი ღამაში თმებით თავს იწონებდა.
თანდათანობით განთიადმა შემოაბიჯა,
შენ მოლოდინმა შეგიპყრო სრულად,
გიჭირს როგორმე წარმოიდგინო
ჩემი სიშორე უსიერ ტყიდან.
მე ტელეფონის მავთულზე გზივარ,
სიგარეტის მოწვევით ვცდილობ
გავიქარვო სეველა და დარდი,
მაქანავებს ქარი უგულოდ,
და ვუსმინ როგორ ეჩხუბებიან
ტელეფონის ბოძები ერთმანეთს.

შეიარაღებული გოგონა,
მას სახელად — სიკვდილი ჰქვია.
სექტემბრის თვეში დავეჭირნე
მე მასზე ნებით
განცვიფრებული, ის თვალბში ჩამშტერებოდა
და მიჩვენებდა მდინარისაკენ.
დიდხანს ხელში აყვანილი, მე ის მიმყავდა —
ლერწმის ქალაქი.
ჩამომავი წყალზე — მოთხრა ბრძანებით,
როცა უკვე აღარ მყოფნიდა ძალი და ღონე
შორს წამყვანა.
იგი მიენდო დინებას სრულად,
მიცურავდა და საუბრობდა თითქმის ჩურჩულით
შემხვედრ თევზებთან,
მე კი სიბერე შემომეპარა
მარადიულად მოსიარულეს სიცოცხლის ხილზე.
ქალაქი მოხუცს, მუხლებამდე წყალში შესულს,
ქვეყნად სხვა უკვე არაფერი გამოგებოდა,
რადგან ხელებზე წამოზრდილყვენ
თევზის ფარფლები,
ხოლო სახეზე ლაყუჩები გამიჩნდა უკვე
და ვგრძნობდი როგორ ვიძირებოდი,
თავზე ნელ-ნელა იხრებოდა სარკველი წყლისა
და ზედაპირზე მოცუკვარე წრეები
ჩანდნენ.

არალექსი

აღმადი, რომელიც გიყვარდა
სახლები, რომელიც დანახვისთანავე შეიცნობდი
განსოვს ბავშვები — ქვიშის ყუთებში ჩარჩენილი
მათი ბრწყინალა სათამაშოებით.
სასაუბროდ მიემართები
პირველშემხვედრ ნაცნობთან,
ძველი ქალაქის ქუჩებში დაყრილ
მკვდარ ფოთლებს ვეხმს ღარტყმით
ირგვლივ გაფანტავ.
შეიცვები ალაპარაკო
გზაჯვარედინზე მდგარი ქუჩიანი ძაღლი,
რომელსაც გადადილი ლექსებს უკითხავდი,
შენ იმავე წუთს წახვალ, ქალაქს განერიდები,
როდესაც ოგონობ, რომ აჩქარება საჭიროა.
სიცილები გოგონებს,
რომელნიც მშვიდად აბოლებენ ბარში სიგარეტს,
ყველა უცხოა, შენი სურვილის და სახელებისთვის,
რომელსაც აღრე შენი შეიცნობდი დანახვისთანავე.
ბავშვობისას, ეზოში, სახლის სიახლოვეს —
მე დაემარტე ბელურა.

დილოზის კანაზი

სიცოცხლეს გამოასალმა ახლომდინი —
რომელნიც უყვარდა ქვეყნად ყველაზე ძალიან.
საროსკიბოებისთვის გაყვდა
თავისი საყვარელი მონები.
დაწვა ბაღის მომღერალი ფრინველებით
სადაც თავისი სასახლე...
შენ კი მაინც სდუმდი...
ცხოვრობდა როგორც მტკიცე:
იმლებოდა სორბეტში,
ხის კენწეროებზე ხედებოდა შემოღამებას,
ფრინველთა კვერცხებით ივებებოდა,
შენ კი მაინც სდუმდი...
ლექსში დალია თავისი სახელი და გვარი,
ვაჭრები თამაშობდნენ კარტს.
ბანქოში წაავს თავისი სიცოცხლე,
მოკვდა ბაზრის მოედანზე.
მათხოვრები აფურთხებდნენ სახეში,
შენ კი მაინც სდუმდი...

გარდაცვლილ ღმერთთა ნადირი

უცებ ერთ-ერთმა გარდაცვლილმა სთქვა:
იმიტომ მოვევდი, რომ ჩემი სიყვარული
არავის სჭირდებოდა.
მაშინ მოფრინდა შავი-ფრინველი
და დააჯდა მას სახეზე.
მეორე გარდაცვლილმა სთქვა:
მე იმიტომ მოვევდი,
რომ სამშობლოს დასჭირდა ჩემი სისხლი.
მაშინ მოფრინდა წითელი ფრინველი
და დააჯდა მას სახეზე.
მესამე გარდაცვლილმა სთქვა:
როცა დღემიწამ შეიმოხრა ჩემი სისხლი,
როცა არავის აღარ სჭირდებოდა —
ჩემი სიყვარული,
მე დავიბადე.
მაშინ მოვიდა მწვენი ფრინველი
და დააჯდა მას სახეზე.
მაშინ მეოთხემ სთქვა:
ბედნიერი ვიყავი, როცა მოყვარდა
არ მახოვს, როგორ გარდავიცვალე.
მაშინ მოფრინდა თეთრი ფრინველი
და დააჯდა მას სახეზე.

ლიტვურიდან თარგმნა მირა ზალვაშვილმა

„ეს! ამერიკა“

საქართველო-ამერიკის ურთიერთობები

უბსაც: ერთმა მოსკოვის მოყვარულმა ჩაატარა ასეთი ცდა: ქათმებს რადიოყურთსაცმეები გაუკეთა და დღედაღამე მუსიკა ასმენინა. ქათმები თურმე სიამოვნებით უსმენდნენ. მუსიკას და დღეში ორჯერ კვრცხს დებდნენ. ამით დაინტერესდნენ ფერმები და დაიწყეს ამ მეთოდის მასობრივი დანერგვა. როგორც კომენტატორმა აღნიშნა, შედეგი ძალზე სახარბიელოა.

ერთ-ერთ გადაცემაში აჩვენეს ქალები, ბუნების კურსში გამოწყობილი, აჩვენებდნენ სხვადასხვა მოდურ შეყვარულ ქურქებს, მერე ქურქებიდან თქრალით გამოდიოდა სისხლი, ეს იყო შემზარავი სანახაობა. ამით რეკლამას უწევდნენ კამპანიას, რომელიც კრძალავს ნადირის მოკვლას და ბუნების დამზადებას. „აივრძალოს ცხოველების დაზოგვა“ — იყო გადაცემის ლოზუნგი.


ერთ გადაცემაში აჩვენეს ლუდის ფირმა, რომელიც განთქმულია იმით, რომ ლუდის ბუნებრივად გაციების მიზნით ზაფხულში, ვერტმფრენებით შორეული მთებიდან ჩამოაქვთ თოვლი. ამ გადაცემაში ერთი ამბავი გამახსენა: გასტროლებზე წამოსვლის წინ, იანვარში მოსკოვის რესტორანში ოფიციალტს ცივი ლუდი ვთხოვეთ.

— მაგივარი გაგვიფუტდა და ყინული არ გვაქვსო. — გვითხრა.

— დალოცვილო, მთელი რუსეთი შაქარ-ყინულის ჰაგვს, გაყავი ფანჯარაში ხელი და იმდენ ყინულს იშვავ, მთელ შენს სავარეულოს ეყოფა მიცვლებულების შესანახად-მეთქი, ვუთხარი.

დმერთო, დაილოცა შენი სამართალი, ამ ქვეყანაში ყოველნაირად ცდილობენ პრობლემები მოსპონ, ჩვენთან კიდევ სადაც არ გვიქირს, იქაც ხლოვნურად ვქმნით პრობლემებს.

9 თებერვალს აშშ-ში გადავედ.



ით, ქ. იაკიმაში. კონცერტი გაემართა ძველბურთ საოპერო თეატრში. მერე დღეს გავემგზავრეთ ქ. სიეტლში, სადაც ორი კონცერტი გავმართეთ. გზა იაკიმა-დან სიეტლამდე ძალიან ლამაზია. იგი კარგაზნანს მიყვება მდინარე კოლუმბიის, გზის პირას ბევრი ჩანჩქერი და ტბაა, რომელიც სავსეა გარეული ფრინველებით.

ქ. სიეტლი ემზადებოდა კეთილი ნების თამაშებისათვის. ქალაქმა ჩვენზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. იგი აშშ-ის უკიდურეს ჩრდილო დასავლეთში მდებარეობს. სიეტლი თანამედროვე ქალაქია ცათამბრჯენებითა და თვალისმომჭრელი რეკლამებით. განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას ახდენს იგი ღამით. ქალაქის შესასვლელში ავტობუსის აღმართზე მდის, საიდანაც უცბად იშლება მთელი ქალაქის ზედიე — აბრდღიალებული ცათამბრჯენებით. საოცარი სანახაობაა. სიეტლში ჩვენს კონცერტებს დაესწრო რუსი ემიგრანტების დიდი ჯგუფი. მათ კონცერტის შემდეგ ოჯახებში მიგვიწვიეს და გულთბილი შეხვედრები მოგვიწყვეს.

ქ. სიეტლიდან ისევ გავემგზავრეთ კანადაში, სადაც ბოლო რამდენიმე კონცერტი უნდა გავემართა და შემდეგ გასტროლებს აშშ-ში გავაგრძელებდით.

ქ. კასლგარამდე გზას 15 საათი მოვადრომეთ. მგზავრობა მერტად

ძნელი იყო. ეს ქალაქი მთაში მდებარეობს, როგორც ჩვენი ბაკურიანი, ამიტომ დიდთოვლობის დროს ავტობუსებს ძალიან უჭირდათ მოძრაობა. მთელი გზა თოვდა, გავიარეთ ზედასაში ზონები, მაღლობა ღმერთს, რომ ყოველწუთში გვხვდებოდნენ სპეციალური მანქანები, რომლებიც სუფთა მარილს ყრიდნენ და თან გზას არაჩვეულებრივი სისწრაფით წმენდნენ, თორემ ასეთ თოვაში ნამდვილად ვერ მივაღწევდით ქ. კასლგარს.

ასეთი ხანგრძლივი და მძიმე გადასვლების დროს ანსამბლის წევრები სხვადასხვანაირად ერთობიან. ყოველ დღით, როცა ავტობუსში ვვდებით, გიორგი თოფურია გავაცნობს უკანასკნელ ცნობებს, მერე ბიბის გვიკითხავს გაზეთებიდან საინტერესო მასალებს. შემდეგ ბიჭები მორიგეობით ყვებიან საინტერესო ეპიზოდებს თავიანთი ცხოვრებიდან. ამ მხრივ გამოირჩევა ფრიდონ სულბერიძე, რომელსაც საოცარი იუმორის გრძნობა აქვს. მერე იწყება „ლექცია“ ქართულ სამზარეულოზე. როცა ქართულ საკმელებზე დაიწყებენ ლაპარაკს, ვხვდებით, რომ ბიჭებს მოშივდათ. ნასადილევს ზოგი ძილს ამჯობინებს, ზოგი კარტს თამაშობს, ზოგიც წიგნს კითხულობს. აგრამა მძიმეობის ხელში ჩონგური აუღია და სევდიან სიმღერებს ადიდებდა ბორის სორდია-სა და ამირან გოლიაძესთან ერთად. ნესტან ტოგონიძე ანსამბლში ყველაზე უმცროსია, ამიტომ ხანდახან ცრემლები მოადგება ფეხებზე, — დედა მომენტარაო, ნესტანი, რომელსაც სიყვარულით ნეცის ვეძახით, მთელი გზა ქარგავს და უკვე საკმაოდ კარგი კოლექცია შეაგროვა. ამაზე ბიჭებმა ექსპრომტივ მიუძღვნეს:

ვერსად ნახავთ ამგვარს, სხვა-გოგებს არ გავს, ნეცო ზის და ქარგავს,

გასულ წელს იტალიაში გახლდით საგასტროლოდ. ჩვენს იმპრესარიოს გვარად აიაცს, მუსიკალური სმენა არ ჰქონდა. იგი ირწმუნებოდა, რომ სიმღერები იტალიაში არ მოეწონებოდა და ამოგველო მაიას სიმღერა. მერე როცა ნახა, რომ სიმღერასაც დიდი წარმატება ჰქონდა, ძალიან გაუკვირდა. ამ ფაქტის გამო ბიჭებმა მაიას ექსპრომტივ მიუძღვნეს:

იმპრესარიო აიაცს, სმენა სულ არარაი აქვს, თურმე ამიტომ არ უსმენს ლენკოვალის „მაიას“.

ჩვენთან სადაო რაი აქვს, ვამღერებთ ვისაც ხმაი აქვს, სიმღერის გამო აიაცს არ ნაყვარება მაიაც.

ამგვარი შაბრობა დამოღელი მგზავრობის დროს „რუსთავის“ წევრებისათვის გართობისა და მხიარულების ერთ-ერთი უფასო საშუალებაა. „ქანურ შაბრში“ ბადალი არ ჰყავს მალხაზ ყარყარაშვილს, რომელთანაც „სამკედრო-სასიცოცხლო ომი“ აქვთ

ტარიელ ამაშუკელს, ბონდო გუგავსა და ამირან გოლიაძეს. „პოლიტიკოსი“ თავისი „ფალავა-



ნი“ ჰყავს—ავთო მაზანაშვილი, რომელიც „პოლიტიკოსის“ სახელით რამდენიმე „ტაბილ“ ლექსს მიუძღვნის მალხაზ ყარყარაშვილს და მერე იწყება კოლექტიური ლექსებით მიმოწერა ზედა და ქვედა „პალატებს“ შორის.

ლექსებში მინც ომარ კელაპტრიშვილი სჯობნის ყველას. მას ანსამბლში არავინ დარჩენია გაუიკლავი, მათ შორის ჩვენი სულმნათი ჰამლეტ გონაშვილიც კი. ცნობილი ფაქტია, ჰამლეტს დაგვიანება უყვარდა. ერთხელ რუსეთში გასტროლების დროს, ერთი ქალაქიდან მეორეში ვერტმფრენებით გადავყავდით. ჰამლეტმა დაიგვანა და გამოჩნდა იმ დროს, როცა ვერტმფრენი აფრინდა. ბიჭებმა სთხოვეს პილოტს, ვერტმფრენი ჰაერში გაეჩერებინა და ჰამლეტი ამოეყვანა. პილოტმა დაახლოებით 5 მეტრის სიმაღლეზე გააჩერა ვერტმფრენი, ბიჭებმა თოკის კიბე ჩამოუშვეს და ჰამლეტი ბორტზე აიყვანეს. იყო ერთი



სიცილი და საერთო მხიარულება.

ამის შემდეგ საფრანგეთში გახლდით გასტროლებზე. ერთ-ერთ ქალაქში ვამგზავრებო წინ ჰამლეტმა ავტობუსზე დაიგვიანა, რაც ომარ კელაპტრიშვილის მუხის საბაბი გახდა:

თვით კარუზოს და ტიტო გობის შემურდებოდა შენი ხმის ტემბრი და

სილამაზე, კაცო-კაცურო, ტეპილმობარო,

„სიტყვაძვირო“ და გასაოცარო. „ნეტავი ერთი დამაწია და“... ამბობს ჰამლეტი „არაგვიანი“, ვით ჰიანველამ თავის

მშობილსა, ისე ჩაუდგეს თოკი ტალი, და ამის შემდეგ ამის ჩამდენი ჰამლეტი მოსვლას კვლავ აგვიანებს, ახლა კი მივხვდი. თუ ასე ტეპილად ის რატომ მღერის

„დაიგვიანეს“.

როგორც იქნა, 15 საათის მგზავრობის შემდეგ, მივაღწიეთ ქ. კასლგარს. ქალაქი ძალიან კარგ მთაბეჭდილებას ახდენს. თუმცა ბუნებრივი პირობებით ბაკური-ანს ვერ სჯობია, მაგრამ არაჩვეულებრივად კეთილმოწყობილია. ჩაიქნებოდა, ბაკურიანიც რომ ასე მოეწყობა.

მეორე საღამოს კონცერტი გამართა სპორტის სასახლეში. აბა, სასახლე სწორედ ამას ჰქვია: 4 უზარმაზარი დარბაზი ორსართულად: კალათბურთის, ჰოკეის, მძლეოსნობისათვის და ერთი ციკურაო დარბაზი. მოკლედ მთელი სპორტული კომპლექსია.

ჩვენს კონცერტს დაესწრნენ „ლუხაბორები“, ოდესღაც ჩვენ-



ან გადსახლებულები. აქ მათ დიდი კოლონია აქვთ. კონცერტის შემდეგ მიგვიწვიეს თავიანთ კულტურის სასახლეში და მოგვიწყვეს საოცრად გულთბილი შეხვედრა. „ლუხაბორები“ კანადაში 1898 წელს გადმოუსახლებიათ საქართველოდან. მათი წინაპრები, როგორც თვითონ გვითხრეს, თბილისიდან და ბოგდანოვიდან ყოფილან. ისინი გვმითხრობდნენ, რომ ბათუმისა და მთელი კულტურის სახლში მთელი ერთი კედელი უჭირავს პანოს, რომელზედაც სწორედ მათი გადმოსახლების მომენტია დახატული.

შეხვედრამ მეტად გულთბილად ჩაიარა, „ლუხაბორები“ ღვინოს არ სვამენ, ხორცს არ ჰკმენ და სიგარეტს არ ეწევიან. ამიტომ ჩვენც ვეგეტარიანული ვახშამი მოგვიმზადეს. ჩვენს პატივსაცემად გალობდა გუნდი, ნაციონალურ კოსტუმებში გამოწყობილნი, ისინი რუსულ სიმღერა-სავალბებებს ასრულებდნენ.

მათი დევიზი ასეთია: „მშვიდობა, მეგობრობა, სიყვარული და თავისუფლება“. უკეთესს კაცს ვერც რჩატრებს, ასედაა უნდა იყოს ყველა ცივილიზებული ერი. გვიან ღამემდე გაგრძელდა ჩვენი შეხვედრა. ჩვენმა ბიჭებმაც იმღერეს, იცეკვეს და ძალიან კმაყოფილები დაგვშორდით ერთმანეთს. მათ სასტუმრომდე მიგვაცილეს და ბოლოში მოგვიჩადეს, რომ ხორციანი კერძებით ვერ გავიმასპინძლდნენ. ჩვენს შეკითხვაზე, თუ რატომ არ ჰკმენ ასე მასიურად ხორცს, გვიპასუხეს: ცხოველების დაკვლას რომ უყურონ, ბავშვები სადისტები გაიზრდებიანო.

მე გამახსენდა ერთი ფაქტი: ჩემი ბიძაშვილის — ირაკლის ვაჟი, პატარა აწზორ ერქომაიშვილი ხორციანი კერძის სუნზეც კი ცუდად ხდებოდა. ჩემს შეკითხვაზე, თუ რატომ არ ჰკმენ ხორცს, სამი წლის აწზორმა მიპასუხა:

— ხორცი რომ შეგვამო, ხომ უნდა დაკლან? მეღე ცოლო აღაღს?

ანზორ ერქომაიშვილი

(გაგრძელება იქნება)

8 თებერვალს ქ. პენტიტონ-მდე 12 საათი ვიარეთ ავტობუსით და ღამის 9 სათზე ჩავედით. ქალაქი გაშენებულია მთებში. იგი სასეა წიწვოვანი ტყითა და ტბებით. სამწუხაროა, რომ აქ კონცერტი არ იყო დაგეგმილი, მარტო ღამე გავათეთ, რომ მეორე დღით გზას გავდგომოდით აშშ-სკენ. იმ ღამეს ტელევიზიის ფრანგულმა პროგრამამ აჩვენა ლანდოზბერგის ფილმი 9 აპრილზე, სიტყვით გამოვიდა მერაბ კოსტავა, აჩვენეს ის საშინელი კადრები, რომელსაც ამ ბოლო დროს გონებიდან ვერ ვიცილებთ. შემდეგ ვნახეთ აშშ-ის სატელევიზიო გადაცემა „ნეშენელ ჯიოგრაფიკ“, — ამერიკის გეოგრაფიული საზოგადოების ჟურნალის შესახებ, რომელიც 100 წელზე მეტია გამოდის. წაიკითხეს ერთი სტატია ამ ჟურნალიდან და აჩვენეს დოკუმენტური კადრები:

ორი საუკუნის წინათ ალიასკის ნაპირებთან ეძებდნენ გზებს, თუ როგორ შეიძლებოდა ჩრდილოეთ ამერიკის შემოვლით ატლანტიკის ოკეანიდან წყნარ ოკეანეში გადასვლა. ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობის დროს ინგლისური გემი ყინულებში გაიჭედა. მეზღვაურები რამდენიმე ხნის შემდეგ დაილუნჯნენ. შარშან იპოვეს ეს გემი, და ამოიღეს 200 წლის წინათ დაღუპულ მეზღვაურთა ნეშტები, რომლებიც ყინულის საფარში იდეალურად იყო შენახული. მერე გაათბეს გვამები და ჩაატარეს ექსპერტიზა. აღმოჩნდა, რომ მეზღვაურების ნაწილი დაიღუპა ვიტამინების ნაკლებობით, ხოლო ნაწილიც მოიწამლა, რადგან კონსერვები, რომლითაც მეზღვაურები იკვებებოდნენ, ტყვიით იყო მოხუფული. 6 თვის განმავლობაში ტყვიამ გაჟონა, სკმელში და მოწამლა მეზღვაურები. დაადგინეს დაღუპულ მეზღვაურთა ვინაობაც.

ასეთი საინტერესო გადაცემები ხშირად ტელევიზიით. გადასცენ სხვა საინტერესო შემთხვევ-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № № 51, 52, 53, 54.

გუგო 13 მაისი იყო...



ათი წელიწადი გასულა იმ დღიდან... 1981 წლის 13 მაისი — ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდი გამარჯვების დღე (ჯერჯერობით, რა თქმა უნდა)... არც ბევრია და არც ცოტა ათი წელიწადი — თითქმის ყველაფერი გუგო იყო, თუ როგორ ვე-

ლოდით ტელეეკრანებთან მიჯაჭვულნი იტალიელი არბიტრის რიკარდო ლატანცის საფინალო სასტუმროს. და აი, კოტე მახარაძე (ალბათ, პირველად თავისი მრავალწლიანი მოღვაწეობის მანძილზე) ვერ იოკებს ემოციებს... მან იქ, შორეულ დიუსელდორფშივე წარმოადგინა, თუ რა ხდებოდა იმ დღის თბილისში...

თბილისში კი, იმ დღეებში ლატანცის ყველა შენიშვნა — ასეთი სიხარული, ალბათ, მხოლოდ ფეხბურთში შეიძლება მოუტანოს სპორტის გულშემატკივართ. ყველაზე ამაღლებული კი იმ დღის ის იყო, რომ თბილისის სხვადასხვა უბნებიდან დაბრუნებული ხალხი, თითქმის წინასწარ იცოდნენ შეკრების ადგილი, ყველა „დინამოს“ სტადიონზე გაემართა. ხომ წარმოუდგენელია შუალედისა გაქედის სტადიონი ერთიანად გუგუნდეს და მოედანზე კი მათი საყვარელი გუნდი არ იყოს. დინამოელები კი იმ მომენტში შორეულ გერმანიაში იღებდნენ მილოცვებს.

დიახ, ეს იყო ბრწყინვალე გუნდი დაკომპლექტებული ბრწყინვალე ფეხბურთელებით: ოთარ გაბელია და თამაზ კოსტავა, ალექსანდრე ჩივაძე და შოთა ხინგაძე — ელი, ნოდარ ხიზანაშვილი და გია თავაძე, ზაურ სეზანაძე და ნუკრი კაკილაშვილი, თენგიზ სულაქველიძე და ვლადიმერ გუცავე, დავით ყიფიანი და რამაზ შენგელია, და ალბათ, ცალკე, უნდა ვახსენოთ ვიტალი დარასელია...

ამ შესანიშნავ თაობას ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე დიდი წარმატება და აღიარება ზედა წილად. მაგრამ, ეს არა მარტო მათი

ლაშქარეობა იყო — 1981 წლის 13 მაისამდე ქართული ფეხბურთი ცოცხლობდა და თავისი განუყოფელი სათამაშო სტილით ახალ-ახალ ვარსკვლავს ჩუქნიდა ფეხბურთის სამყაროს: ბორის პაეჭაძე და გრიგოლ გაგუა, შოთა შავგულიძე და გიორგი ანთაძე, ავთანდილ ლომბერიძე და გაიოზ ჯეჯელავა, გივი როხელი და ვლადიმერ ბარჭაია, ვლადიმერ მარცია და სერგო კოტრიკაძე, ნინო მესხი და სლავა მეტრეველი, გიორგი სიჭინავა და შოთა იმანიძე, მურთაზ ხურცილავა და რევაზ ძოძუაშვილი, ვაზი ასათიანი და მანუჩარ მაჩაიძე და კიდევ ზევით და ბევრი...

სწორედ მათი და კიდევ მრავალი ტყავის ბურთის შესანიშნავი ოსტატის მიერ გაკეთებული ლოგიკური დასასრული იყო ის დიდი გამარჯვება, რომელიც ახალგაზრდა „ბიჭებმა“ მოიპოვეს. დიახ, ახალგაზრდა — თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მწვეთნო (ყოველგვარი გაზვიადების გარეშე ვამბობთ ამას) ღვაწლი იყო ყოველთვის ეს. განა ერთი და ორი შემთხვევა ყოფილა ფეხბურთის ისტორიაში, რომ ვარსკვლავებისაგან შემდგარ გუნდს ვერაფრით გამოუჩენია თავი? მაგრამ ეს შემთხვევა ნოდარ ახალკაცმა, მწვერთელმა, რომელსაც სასწიბით დამსახურებულად ერ-

გო პატივი, რომ საერთაშორისო ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მაღალი შედეგები „დინამომ“ სწორედ მისი ხელმძღვანელობით მიაღწია.

...10 წელიწადი გაშორებს 1981 წლის 13 მაისს და მაშინდელი „დინამოს“ კვალზე დღეს ახალი თაობა მოვიდა — თბილისის „იბერიის“ ფეხბურთელები. ალბათ, სიმბოლურიც არის რომ პირველი ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებულები სწორედ ისინი — „იბერიის“ ფეხბურთელები გახდნენ და წელს კვლავაც აგრძელებენ თავიანთ სახელოვან წინამორბედთა ღირსეულ ტრადიციებს, მალე, ალბათ, მალე მოვა ის დროც, რომ დღევანდელ თაობას მოუწევს საერთაშორისო ასპარეზზე ქართული ფეხბურთის პრესტიჟის დაცვა და ევროპაში გარდა, რომ კვლავ აღაპარავდეს მსოფლიოსა თუ ევროპის საფეხბურთო სამყაროები ახალ ქართველ ვარსკვლავებზე (რომელიც ამჟამადაც საქმოდ გვეყვას) და 1981 წლის 13 მაისს მოპოვებული სანუკვარი თასების მფლობელთა თასი არ დარჩება ერთადერთ ყველაზე დიდ მიღწევად...

ჩვენ, ყველას, ამისი გვჯერა... გაუმარჯოს ქართული ფეხბურთს...

ბია ბახუაშვილი

თბილისის „დინამო“ მკობის საკლუბო ტრენინგზე


თბილისის „დინამომ“ ევროპის საკლუბო ტრენინგებზე სულ 51 შეხვედრა ჩაატარა: 25 მოიგო, 8 ფრედ დაამთავრა და 18 წაგო. ბურთების სხვაობა არის 76-57.

თბილისის „დინამოს“ მეტოქეები იყვნენ: „ტვენტე“ (ენსხედე, ჰოლანდია), ოფკ (ბელგრადი, იუგოსლავია), „ტოტენჰემ ჰოტსპური“ (ლონდონი, ინგლისი), „კარლიფ სიტი“ (უელსი), მტკ (ბუდაპეშტი, უნგრეთი), „ინტერნაციონალი“ (მილანი, იტალია), „ბეკოპენჰავენი“ (დანია), „გრასჰოპერსი“ (ციურიხი, შვეიცარია), „ნიპოლი“ (ნეაპოლი, იტალია) — 2-ჯერ, „პერტა“ (დასავლეთ ბერლინი), „ლივერპული“ (ინგლისი), „პამბურგერ შფორტფრაიზი“ (გფრ), „კასტრონი“ (სანტო-სპეტი), „უოტერფორდი“ (ირლანდია), „გესტ პემილიტედი“ (ლონდონი, ინგლისი).

სი), „ფიენოორდი“ (როტერდამი, ჰოლანდია), „კარლ-ცისი“ (იენა, გფრ), „გრაივერ-აი-ი“ (ავსტრია), „ბასტია“ (საფრა-ნგეთი), „ლეგია“ (ვარშავა, პოლონეთი), „სტანდარდი“ (ლიეჟი, ბელგია), „ლოკომოტივი“ (ბუქარესტი, რუმინეთი), „გერდერ“ (ბრემენი, გფრ).


ამ 51 შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 51-მა ფეხბურთელმა. აი, ისინი: ალექსანდრე ჩივაძე — 40 მატჩი (გაიტანა 6 ბურთი); რამაზ შენგელია — 38 (19); დავით ყიფიანი — 35 (10); ვლადიმერ გუცავე — 34 (8); ოთარ გაბელია — 32; შოთა ხინგაძე — 32; თენგიზ სულაქველიძე — 31 (6); ვიტალი დარასელია — 31 (4); მანუჩარ მაჩაიძე — 26 (2); ნოდარ ხიზანაშვილი — 22 (1); დავით მუჯირი — 20; დავით გო-

გია — 19; ფირუზ კანთელაძე — 18 (1); თამაზ კოსტავა — 17; ზაურ სეზანაძე — 17; ვახტანგ ჭორიძე — 16; რევაზ ჩელვაძე — 14 (3); გოჩა მაჩაიძე — 12; გია თავაძე — 11; ნუკრი კაკილაშვილი — 11; ზორბეგ ებრაელიძე — 10; გივი ნოდია — 8 (5); ლევან ნოდია — 8 (2); ვახტანგ ჭელიძე — 8 (1); კახი ასათიანი — 8 (1); ზურაბ წერეთელი — 7 (1); რევაზ ძოძუაშვილი — 7; მურთაზ ხურცილავა — 6; ვაჟა ყვანია — 6 (1); ვახტანგ კობალაძე — 6; გიორგი ჭილაია — 6 (1); ახრიკ ცეცხლაძე — 6; გია გურული — 6 (1); სოსო ჭელია — 6 (1); ზაზა რევიშვილი — 6; ოთარ კორლაძე — 6; გელა კეტაშვილი — 5; გრიგოლ ცაავა — 4; გოჩა გაგუაშვილი — 4 (1); თემურ ქეცბაია — 4; მალხაზ არზიანი — 4; გოჩა



ჯოხაძე — 3; მამუკა ფანცულაია — 3; მიხეილ მესხი — 3; გურამ პეტრიაშვილი — 2; გურამ აფთვი — 2; გურამ ჩქარული — 1; და-

ვით პაიტიძე — 1; ტარიელ დვალისვილი — 1; კონსტანტინე კერესელიძე — 1; ამირან ანდლუაძე — 1.



კასი, რომელიც დააკლდა გავულს ბატონ ეგნატე ფიფიას გახსენება

ერთხელ რომ მოგვლანდებოდა და მიგატოვებოდა. ასეა „წუთის წებოთი ნაწებ წუთისოფლის“ ქვეყანაში, სადა საუკუნე და წამი ტოლფასია მარადიულ მდინარეებაში.

ახლა იგი 90 წლის მოიყვებოდა. „მუხა“ მისი იმპერიატორი ეპითეტი გახლავთ, ახლა ბერძნულა იქნებოდა, მუშაობდა და გარდაცემული, დამხვნილი და გაუტეხილი...

ბატონი ეგნატე ფიფია ქართული ჟურნალისტიკის სკოლის მამამთა, მოძღვარი, მოქალაქე, სიცოცხლეშივე ლეგენდარული კაცი, ერისკაცი, მამულიშვილი.

ბატონი ეგნატე, ფიფია! — მუდამ მაშვრალი და მოაზროვნე მოქმედი და შემოქმედი.

ეგნატე ფიფია რამდენს იტევს ეს ორი სიტყვა მათთვის, ვისაც, თუნდაც მცირე ხნით, რეგობა პარტიი ამ ხელმძღვანელსა და მოქალაქეს მუშაობისა.

წელს ბატონი ეგნატე 90 წელი შეუსრულდა დაბადებიდან. ვინ უწყის, რამდენ უნაგებოს შეუძლებლობა დაბნარულ რწმენას, რამდენ სხეულს მოჰყვარდა შევას, რამდენ ვნებულს განუახლებდა სიცოცხლის სურვილს...

— დასტაქარი ჯერ გონებითა და თვლით მოქმედებს, შემდგომ — შეიარაღებული ხელით — სწორედ ბატონი ეგნატეზე თუ უთქ-

ვამთ გარდასულ რომელ კოლეგებს.

ეგნატე ფიფიას შეიძლო ზეგარდმოცხებული ნიჭისა და ღრმა განსწავლულობის წყალობით კომპიუტერული სინთესით ამოცნო „კაცის გვამში მოთარეშე სენი; განესაჯა და „მსჯავრდო“ იგი!

ბატონი ეგნატეს ნატიფი პროფესიონალიზმი აღფრთოვანებასა და განცვიფრებას იწვევდა არათუ სხვების, არამედ საკუთარ თანამშრომელთა თვალშიც!

ზედმოწვევით წესრიგისა, დიდი ქმედებით და სწრაფი აზროვნებით, ზომიერად მკაცრი და მკაცრად ზომიერი დასტაქარის ხალათ-შემოსილი და საკლავო მომარჯვებული ეს კეთილი ჯადოსანი სასწაულებს ახდენდა საოპერაციო მაგიდასთან თავდახრილი.

საყვარელ გარჯა-საქმიანობისა თავდაუზოგავი, კოლეგებისაგანაც ამდაგვარ დამოკიდებულებას მოითხოვდა და იქნა კიდევ „მშობი სიყვარული“, „მის“, რომელსაც მოწონებდა მოკაძეობა, უსაზღვრო პარტიისკეპი ჰქვია და ურთიერ-სოდაც არ არსებობს პირობატეს ანუ ექიმთა ჭამაყარი!

ბატონი ეგნატე მთელი თავისი ბრწყინვალე და ყოფით ძირძველი ქართველი იყო, რომელსაც საკუთარ ძარღვისცემას ერჩია ორ ზღვითა შუა მდებარე ქედურბელი საქართველო მისი მითითა და


ბარით, მისი ზოვითა და მზით, მისი ხალხით — ამაყი, უდრეკი, გონიერი და დაუმორჩილებელი იბერთა ტომით. და რაოდენ გულსატკენია, რომ დღეს თავისუფლების საღი პატივით მსუნთქავ საქართველოს აქლია თავისი ღირსეული შვილთაგანი.

სამწუხაროა ისიც, რომ ჩვენს შორის, მომედვე ქართველთა შორის აღარც ბატონი ვახტანგია, საკადრისი ძე სახელოვანი მამისა, ერთბა ადრე უმუხტოა ვახტანგ ფიფიას სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულით გადღლილმა გულმა, 9 აპრილის სიკვდილმთესველმა ქარიშხალმა რომ გადაუარა ზედ.

კარგია, რომ აქ მართლ დაინდო ბედმა ბატონი ეგნატე — არ შეესწრო იგი ერთადერთი ძისა და ახლახანს კი მისი შვილიშვილის ნაადრევ გამოსალმებას.

დიდი აღმშენებელი მოდიან, არკი მიდიანო, გამიგონია! დიდია ის აღმშენებელი, ვინც „არათუ ჩვენთან ყოფნით გვწვრთნის, არამედ თავისი სხეულის სხეულობით“.

ბატონი ეგნატე არასოდეს იგი-წყებდა თავის ღირსეულ მომხრეებს — ბატონებს ნიკოლოზ კახიასა და გრიგოლ მუხაძეს, მათ, ვინც ქართველი ურთულესი გზაწვრთნით ატარა იგი, მათ, ვინც მცინიერების უღრანში კვლევის უნარი მიანიჭა, მათ, ვინც სწორუბ-ოვარ დასტაქარად ჩამოაყალიბა



იგი. ბატონი ეგნატესთვის ისინი მარადმსუფთვე მთიები იყვნენ.

დიდი აღმშენებელი მოდიან და არ მიდიან!

ბატონი ეგნატე ალბათ, იმერტო მოგვლინა მშობელ ქვეყანას, რომ საქართველოს გულში დაიგვანა. იგი მუდამ ჩვენთან, მის აზრდობებთან არის, ვიდრე თან გვლევს გონიერებით გაჯერებული მისეული შემოქმედის, მისეული გამაზნებელი-დამტყვევით „შეძახება, ძალასა და შემართებას რომ გვამტებს შევირვების კასს.

„თვით ჯაბანს კაცსა გაამხნობს კარგის კაცისა სარდლობა“ — კვლავ ჩვენთან, ჩვენს სარდლად გვეპოვების ბატონი ეგნატე!

როდამ ბახუაშვილი

ფოტოები გ. ბახუაშვილი და ავტორის არქივიდან.

**დარგთაშორისი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება
„საქინფორმსამართალი“ და მცირე საწარმო „ორლი“
გთავაზობთ**

**გაფართოებული კონფიგურაციის IBM თავსებად PC/AT
პერსონალურ კომპიუტერებს.**

ანგარიშსწორება წარმოებს გადარიცხვით.

ფასი არაუმეტეს 45 ათასი მანეთისა.

**ორგანიზაციებისთვის, რომლებიც შეიძენენ 10-ზე მეტ
კომპიუტერს,**

ცალის ფასი იქნება არაუმეტეს 42 ათასისა.

მოწოდება ხელშეკრულების დადების დღესვე.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, ბუდაპეშტის 1.

ტელ: 10.00 — 17.00 სთ 37-58-25 36-66-47

19.00 — 22.00 სთ. 93-57-77, 62-52-12.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“



ძვირფასო თანამემამულენო!
ამ სურათზე აღბეჭდილია პატარა
ირაკლი გენრის ძე მეგრელიშვილი,

იგი ჯერ მხოლოდ 5 წლისაა.
ცხოვრობს ჩოხატაურის რაიონში.

დაავადებულია ლიმფოსარკომით.

საზღვარგარეთის კლინიკაში
მისი მკურნალობისათვის საჭიროა
გარკვეული თანხა, როგორც

საბჭოთა მანეთების, ასევე
კონვერტირებული ვალუტის
სახით.

ჩოხატაურის რაიონის აგრო-
მრეწვებანკში გახსნილია პატარა
ირაკლის სპეცანგარიში.

ანგარიშის ნომერია 71,02.
იქნებ გამოჩნდეს გზა ხსნისა და

პატარა ქართველის სიცოცხლის
გადარჩენისა?...
მოგმართავთ თხოვნით —
დახმარების ხელი გამოუწოდოთ

კიდევ ერთ პატარა ქართველს.
წინასწარ გიხდით მადლობას.

იშვიათი პრაქტიკული გამოცდილების მქონე პროფესიონალი ადვოკატი ჯემალ მაღალაშანიძე აწარმოებს
მოქალაქეთა მიღებას და რჩევა-დარიგებების მიცემას სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე
ბინაო, სამემკვიდრეო, საოჯახო, შრომითი, ზიანის ანაზღაურების, საყოფაცხოვრებო დავების, ჩაწერა-
ამოწერის ადმინისტრაციულ საქმეებზე, ასევე საპატიმრო: ა. ს. სხლის სამართლის საქმეებზე).

შრომის, სწავლის და ცხოვრების განსაკუთრებული პირობების გაგლის გამო, ასევე საქართველოს
რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის და მისი პრეზიდიუმის მიერ დანერგული, მუშაობის მოწინავე
პროგრესული ფორმების ღრმად შესწავლის გამოცდილებით, უამრავი ძნელად საწარმოებელი და ერთი
შეხვედრით უიმედო საქმეების დაბრუნების, ასევე ასეთზე აურაცხელი დასკვნების გაცემისა და სპეციფიკური
აღლოს მეშვეობით შეუძლავს სწრაფი ანალიზი გაუკეთოს ძირითად საკითხს, არის თუ არა დარღვეული
მთხოვნელის უფლება; ზუსტად აღმოაჩინოს სასამართლოს ან სხვა სამართლებრივი ორგანოების
არსებითი და უხეში შეცდომები; მისცეს კვალიფიკაციური დასკვნები კანონის მითითებით, რაც საფუძველი
გახდება არასწორი დადგენილების გასაუქმებლად და დარღვეული უფლების აღსადგენად.

ფინანსურად ჰეშმარითად გაპირვებულ მოქალაქეებს ემსახურება უფასოდ, ქრისტიანული ტრადიციის
მიხედვით.

მისამართი: ჩუღურეთის რაიონის იურიდიული კონსულტაცია,
ნეკრასოვის ქ. №18, დავით აღმაშენებლის პროსპექტის
დასაწყისთან (ყოფილ ვარაზცოვის მოედანთან).
ტელ: 95-75-63.

მიღება დილის 9 სთ-დან 11 სთ-მდე, საღამოს 4 სთ-დან 6 სთ-მდე.

მიმდინარეობს მიღება მსუბუქი ავტომანქანების მძღოლთა
მოსამზადებელ კურსებზე.

კურსების გადასახადი შეუმცირდებათ იმ მსმენელებს, რომლებმაც
იციან ავტომანქანის პრაქტიკული მართვა და ვინც მოიტანს საჭირო
რაოდენობის ბენზინს.

საბუთების შემოტანა და ცნობებისათვის დარეკვა შეგიძლიათ
ყოველდღე, გარდა უქმე დღეებისა საღამოს 4 სთ-დან 7 სთ-მდე.

მისამართი: გლდანის მე-3 მ/რ. კორპუსი 74.

ტელეფონი: 68-39-30.

ხალხური რეჟისის ოსტატბმო!

თუ გაქვთ სურვილი მიიღოთ მონაწილეობა ასოციაცია „მზისა“-ს მიერ მოწყობილ
გამოფენა-გაყიდვებში, მიაკითხეთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დიმიტრი
უზნაძის 68, II სართული, ოთახი №13.

ტელეფონი: 96-61-98.

ასოციაცია „მზისა“

მსურს გიძირავო

ერთოთაბიანე ან
ოთახნახევრიანი იზოლი-
რებული ბინა ქალაქის
ცენტრში. სასურველია
ბაღი.
დარეკეთ: 37-58-25.

მუდმივ სამუშაოზე, მთარ-
გმნელად, ვიწვევთ იაპონური
ენის სპეციალისტს.
მისამართი:
ბუდაპეშტის 1.
ტელ: 37-58-25
ფირმა „არგო“

მ ი წ ვ ე მ თ

ქართულ საბეჭდო მანქანაზე პროფესიული
ჩვევების მქონე მემანქანეებს და კომპიუტერზე
ინფორმაციის ამკრეფ ოპერატორებს
სადლეღამისო ცვლებში სამუშაოდ. ანაზღაურება
გამომუშავებით.

მისამართი: წერეთლის 130, V სართული
კოლექტიური სარგებლობის საინფორმაციო
გამოთვლითი ცენტრი. -
ტელეფონი 352644.

შემოქმედთა საზოგადოებრივი გაერთიანება „**ჰიმერიონი**“
სხვადასხვა სახის ღონისძიებებისათვის, ღრესასწაულებისათვის,
უცხოელი სტუმრების მიღებისათვის, წარმოება-დაწესებულებებს,
ორგანიზაციებს, ფორმებსა და კერძო პირებს არენდით სთავაზობს
კლუბის შენობას. კლუბში თქვენს განკარგულებაში იქნება საბანკეტო
დარბაზი, ბარი, კეგელბანი და სხვა.

ანგარიშსწორება შეიძლება როგორც ნაღდი ანგარიშით, ასევე
გადარიცხვით.

**ჩვენს კლუბში გატარებული საღამო თქვენ
მოგანიჭებთ უდიდეს სიამოვნებას.**

დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ:

51-98-41 96-75-01